პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 18 ოქტომბერი, 1949 წ. № 207 (8510). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სოციალისტური კულტურის აყვავება—„პრავდის“ 17/X მოწინავე (1-ლი გვერდი).
ორდენებისა და მედლების გადაცემა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის (1-ლი და მე-2 გვერდი).
დაიწყო რესპუბლიკური შეჯიბრება ცხენოსნობაში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
ახალმშენებლობათა მოწინავე ადამიანები (მე-3 გვერდი).
გამოსამშვიდობება ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიმართვიანი ბულგარეთის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვ. პიკისა და პრემიერ-მინისტრ ო. გროტევოლისადმი (მე-3 გვერდი).
პ. ბახტურიძე — დავით კლდიაშვილის პიესები მარჯანიშვილის სახელობის თეატრში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

სოციალისტური კულტურის აყვავება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, ასახავს სოციალიზმის ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის მძლავრ და განუხრელ აღმავლობას.

კულტურული მშენებლობის ფრონტზე დიდმნიშვნელოვან და საგულისხმო მიღწევას წარმოადგენს სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა. მარტო 1949 წელს ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები და სხვა საშუალო სასწავლებლები, დაუსწრებელთა ჩათვლით, დაამთავრა 450 ათასმა კაცმა. ახლად მიღებულია 770 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის უმაღლეს სასწავლებლებში — 320 ათასი, ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში—450 ათასი კაცი.

ასეთია ციფრები. ისინი მოწმობენ საბჭოთა ხალხის ახალ სასახელო გამარჯვებებს კულტურული მშენებლობის დარგში.

ჩვენი რევოლუციის ძალა და უძლეველობა, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, იმაში მდგომარეობს, რომ მან „მისცა ხალხს არა მარტო თავისუფლება, არამედ მატერიალური სიკეთენიც, შეძლებული და კულტურული ცხოვრების შესაძლებლობაც“.

ლენინ-სტალინის პარტია უდიდეს მზრუნველობას იჩენს იმისათვის, რომ შეიქმნას ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის სიუხვე, როგორც კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პირობა. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია კულტურული რევოლუცია, რომლის შედეგადაც საბჭოთა კავშირი გადაიქცა ყველაზე მოწინავე კულტურისა და მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ქვეყნად.

თავის ისტორიულ მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე 1930 წელს ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებით სწავლებაზე გადასვლა „კულტურული რევოლუციის საქმეში გადამწყვეტი ნაბიჯის“ მომახსენებელი იქნებოდა.

მას შემდეგ თითქმის ოცი წელიწადი გავიდა. ამხანაგ სტალინის მითითებათა შესასრულებლად ბრძოლით ჩვენმა პარტიამ მიაღწია საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების განხორციელებას. კულტურული რევოლუციის შედეგად ჩვენში ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია, მუშათა კლასის, გლეხობის, საბჭოთა მოსამსახურეების რიგებიდან გამოსული, ჩვენი ხალხის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი, რომელიც მზად არის ერთგულად და სიმართლით ემსახუროს სსრ კავშირის ხალხებს. განსაკუთრებით დიდია მიღწევები სახალხო განათლების დარგში. უკვე 1938/39 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითის და საშუალო სკოლებში 31,5 მილიონი მოსწავლე ითვლებოდა. 1948/49 სასწავლო წელს დაწყებითის და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა უკვე 33 მილიონზე მეტი ბავშვი, ე. ი. გაცილებით მეტი, ვიდრე ომამდელ წლებში. მომდინარე სასწავლო წელს ყველა ბავშვი, რომელმაც დაწყებითი სკოლის მეოთხე კლასი დაამთავრა, სავალდებულო წესით განაგრძობს სწავლას მეხუთე კლასში.

ამრიგად, ხორციელდება კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის შემდგომი გაჩაღების საქმეში.

სსრ კავშირში სახალხო განათლების წარმატებანი განსაკუთრებით საგულისხმოა, თუ შევადარებთ ამ წარმატებებს სახალხო განათლების მდგომარეობას კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად ექვს მილიონზე მეტი ბავშვი მოკლებულია სკოლაში სიარულის შესაძლებლობას, ხოლო ასაკოვან მოსახლეობაში 20 მილიონი წერა-კითხვის უცოდინარია.

საბჭოთა სახელმწიფომ განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარებაში. გასულ წელს ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში დაუსწრებელებთან ერთად მილიონზე მეტი სტუდენტი ითვლებოდა. მილიონზე მეტი კაცი სწავლობდა ტექნიკუმებში და სხვა საშუალო სპეციალიზებულ სასწავლებლებში.

უმაღლესი და საშუალო განათლების განვითარების გიგანტურმა მასშტაბებმა შესაძლებლობა მოგვცა მოგვემზადებინა სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი არმია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგისათვის.

როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, მარტო 1949 წელს ჩვენმა მრეწველობამ, ტრანსპორტმა, მშენებლობამ, სოფლის მეურნეობამ მიიღეს 218 ათასი ინჟინერი, ტექნიკოსი, აგრონომი, ეკონომისტი და 232 ათასი მასწავლებელი, ექიმი და სხვა სპეციალისტი კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სპეციალისტთა კადრების მომზადებასთან ერთად პარტია და სახელმწიფო უდიდეს მუშაობას ეწევიან კურსების, სტახანოვური სკოლების, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების სისტემაში მილიონობით მუშისა და კოლმეურნის კულტურულ-ტექნიკური დონის ასამაღლებლად. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ტექნიკური კვალიფიკაცია აიმაღლა 10 მილიონზე მეტმა მუშამ. ბევრი ფაბრიკა და ქარხანა, როგორიცაა, მაგალითად, ლენინგრადის სტალინის სახელობის ლითონის ქარხანა, ურალის მანქანათმშენებელი ქარხანა, მოსკოვის ქარხანა „კალიბრი“ და სხვები, ჩვენში თავისებურ სასწავლო კომბინატებს წარმოადგენენ. აქ ათასობით მუშა და მოსამსახურე მაღალ და საშუალო სპეციალურ ტექნიკურ განათლებას იღებს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

ჩვენს ქვეყანაში წარმოებს ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციის დონემდე მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების პროცესი, იქმნება იმის წინაპირობები, რომ წაიშალოს დაპირისპირება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. სტალინური პარტიის ლაურეატთა შორის გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად ჩვენ ვხედავთ წარმოების ნოვატორ მუშებს და უხვი მოსავლის ოსტატ კოლმეურნეებს, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს საწარმოო პროცესების ძირეული გაუმჯობესების საქმეში. მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ცნობილია სტალინური პრემიის ლაურეატი მუშებისა და კოლმეურნეების სახელები.

სოციალისტური კულტურის ზრდის ერთ-ერთ უაღრესად მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენს სსრ კავშირში მეცნიერების უმაგალითო აყვავება. მთელი ხალხის ცხოვრებასთან, შემოქმედებითს საქმიანობასთან განუყრელად დაკავშირებული ჩვენი სახეპოთა მეცნიერება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების ზრდის მძლავრი ფაქტორია. საბჭოთა ქვეყანაში მეცნიერება და კულტურა ისტორიაში პირველად ჩაყენებულია ხალხის სამსახურში და მთელი ხალხის კუთვნილება გახდა. შინაარსით სოციალისტურ და ფორმით ნაციონალურ ჩვენი კულტურის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა კავშირის ყველა სოციალისტური ერი.

მაშინ როცა გახრწნის გზაზე დამდგარი ბურჟუაზიული კულტურა ხალხთა შორის ნერგავს მხეცურ ნაციონალიზმსა და მტრობას, თესავს კოსმოპოლიტიზმის რეაქციულ იდეებს, რომელიც უარყოფს ხალხთა ეროვნულ სუვერენიტეტს და კულტურის ეროვნულ ფორმებს, საბჭოთა კულტურა ადამიანებს ზრდის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის სოციალისტური იდეოლოგიის სულისკვეთებით, ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებზე დამყარებული საბჭოთა კულტურა მშრომელებს ზრდის კომუნიზმის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში უდიდესი როლი უნდა შეასრულონ ლიტერატურამ და ხელოვნებამ, რომელთა განვითარებასაც ჩვენი პარტია მუდამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს.

დაახლოებით 20 წლის წინათ წერილში ა. მ. გორკისადმი ამხანაგმა სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა ჩვენი ახალგაზრდობის სწორი აღზრდის ამოცანები. „ახლა ძირითადი ის არის,—წერდა ამხანაგი სტალინი,—რომ ახალგაზრდობაში ტონის მიმცემნი არიან არა მოწუწუნენი, არამედ ჩვენი მებრძოლი კომკავშირელები, კაპიტალიზმის დამანგრეველი ბოლშევიკების, სოციალიზმის მშენებელი ბოლშევიკების, ყველა ჩაგრულთა და დამონებულთა განმათავისუფლებელი ბოლშევიკების ახალი მრავალრიცხოვანი თაობის ბირთვი. ეს არის ჩვენი ძალა. ეს არის აგრეთვე ჩვენი გამარჯვების საწინდარი“. შემდეგ ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ ჩვენი პარტიის, ჩვენი კულტურული ორგანიზაციების, ჩვენი პრესის, ჩვენი საბჭოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოვახდინოთ იდეური ზეგავლენა და მივაღწიოთ სერიოზულ შედეგებს აღმზრდელობითს მუშაობაში.

სოციალისტური კულტურა მოწოდებულია აღზარდოს საბჭოთა ადამიანები, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდა თაობა მხნე, ხალისიანი, სიძნელეთა წინააღმდეგ ბრძოლაში გაბედული, მტკიცე ნებისყოფით და გამარჯვების მოლწევისადმი დაუცხრომელი მისწრაფებით აღსავსე.

დიდია საბჭოთა სოციალისტური კულტურის განვითარების წარმატებანი. ჩვენს ქვეყანაში წარმატებით სრულდება ამხანაგ სტალინის მიერ წამოყენებული ისტორიული ამოცანა — გავზადოთ ყველა მუშა და ყველა გლეხი კულტურული და განათლებული. ხელმძღვანელობენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით იდეოლოგიურ საკითხებზე, ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა და კულტურულმა ორგანიზაციებმა დაუღალავად უნდა აამაღლონ მთელი იდეოლოგიური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, განუხრელად განავითარონ საბჭოთა სოციალისტური კულტურა!

„პრავდის“ 17/X მოწინავე

ორდენებისა და მედლების გადაცემა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის

13 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მოხდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის ორდენებისა და მედლების გადაცემა.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის დარბაზში შეიკრიბნენ სოფლის მეურნეობის სახელგანთქმული მშრომელნი, რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელნი. მათი ენერგიული, თავდადებული შრომით დიდი გამარჯვებებია მოპოვებული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ომისშემდგომ განვითარებაში. ამ დღეს მათ გადასცემდნენ სსრ კავშირის ორდენებსა და მედლებს — საშობლოს წინაშე მათი დიდი დამსახურების საყოველთაო-სახალხო აღიარების სიმბოლოს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა დიდი ჯგუფის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება ახალი მკაფიო დადასტურებაა პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის მზრუნველობისა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, საკოლმეურნეო სოფლის ადამიანებისათვის.

ჯილდოების გადაცემას დაესწრნენ ამხანაგები კ. ნ. ჩარკვიანი, ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი, ა. ე. თოფურიძე, გ. ა. ალავიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილი აქვეყნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს 1948 წელს ჩაის, თამბაქოს, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ყურძნისა და სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

საზეიმო ვითარებაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბ. გოგუამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გადასცა საპატიო ჯილდოები. ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების სიგელთან ერთად პირველმა მიიღო გაგრის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ნ. გ. უშვერიძემ. 1948 წელს მან 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 18,3 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო. უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ გადაეცა ამავე კოლმეურნეობის მერგოლურ ქალს ზ. ხ. აკუშბას, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 19,2 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოსავლის მიღებისათვის.

ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების სიგელთან ერთად გადაეცათ რესპუბლიკის წარჩინებულ მეჩაიეებს. მათ შორის არის ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდი ჯგუფი. 1948 წელს ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის ამ რაიონის სოფლის მეურნეობის 79 მუშაკს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ჯილდო გადაეცა მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრ ქალს ა. მ. გოგბაძეს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ნაკვეთზე მიიღო 9.040 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურ ქალს ფ. ს. დავითაძეს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 8.098 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანმა ე. პ. ტაკიძემ, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსავლის გეგმის 19,5 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

ერთიმეორის მიყოლებით იღებენ საბჭოთა მთავრობის ჯილდოს მახარაძის, ლაგოდეხის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, გუდაუთის, გალის, გურჯაანის, მაიაკოვსკის, ბათუმისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების უხვი მოსავლის სახელგანთქმული ოსტატები.

იმათ შორის, ვისაც მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, არიან — მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ქალი ნ. ყ. გოგოძე, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მიიღო 6.434 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი, გუდაუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. შ. არძინბა, რომელმაც 60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიწია 92,3 ცენტნერი სიმინდი, ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნე ქალი შ. ს. ბახტაძე, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მერგოლური ა. ს. ბეხაშვილი და სხვ.

ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ გადაეცათ საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მდივანს შ. ი. ჯანუყვაძეს და მშრომელთა დეპუტატების ჩოხატაურის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. შ. ანთიძეს, რომლებმაც თავიანთი მუშაობით უზრუნველყვეს მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 42,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

ღირსეულად იქნა აღნიშნული რესპუბლიკის მევენახეების თავდადებული შრომა. ყურძნის უხვი მოსავლის მიღებაში დიდი წარმატებებისათვის ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების სიგელთან ერთად მიიღო ზესტაფონის რაიონის 16 კოლმეურნე მევენახემ. ამ რაიონში უკვე ითვლება 30 სოციალისტური შრომის გმირი, რომელნიც ამ საპატიო წოდების ღირსნი გახდნენ ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის. 1948 წელს ყურძნის მოსავლის გეგმა მთლიანად რაიონში შესრულებულია 32,2 პროცენტის გადამეტებით. გმირთა რიგებში არიან — ზესტაფონის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური გ. ვ. წოწორიძე, კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური მ. ა. შალამბერიძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი ს. ვ. საყვარელიძე, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ბ. ძაბირაძე, რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ა. ი. გიორგაძე და სხვები.

საპატიო ჯილდო—ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ გადაეცათ აგრეთვე მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობის „კომუნისაკენ“ მერგოლურს ვ. მ. ბახტაძეს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 148,3 ცენტნერი ყურძენი, ამავე რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს დ. ს. ზირაქაძეს, რომელმაც 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 100,5 ცენტნერი ყურძნის მოსავალი. ჯილდოები გადაეცა მაიაკოვსკის რაიონის სოფლის მეურნეობის 16 მოწინავეს, რომელთაც მინიჭებული აქვთ სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

შემდეგ სოციალისტური შრომის გმირის ნიშნები გადაეცა გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობის 10 მოწინავეს. მათ შორის: კოლმეურნეობა „გუთნის“ მერგოლურს ი. ა. ნაცვლიშვილს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 111,1 ცენტნერი ყურძენი, კომინტერნის VII კონგრესის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს ი. ე. ყვირილაშვილს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე ძიღო 100,3 ცენტნერი ყურძნის მოსავალი, საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანს ი. ა. ფეიერიშვილს და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ა. ი. ჩიგილაშვილს, რომლებმაც თავიანთი მუშაობით უზრუნველყვეს მთლიანად რაიონში მოსავლის გეგმის 19 პროცენტის გადამეტებით შესრულება.

1948 წელს ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის, რაც სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების უფლებას იძლევა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბ. გოგუამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 3 მარტის ბრძანებულების შესაბამისად, ლენინის ორდენი გადასცა შვიდ სოციალისტური შრომის გმირს — მახარაძის რაიონის წარჩინებულ ადამიანებს.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ლენინის ორდენი გადაეცა მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს კ. დ. გორგილაძეს, კოლმეურნეობის მერგოლურს ე. ს. ხელაძეს, სოფელ ნატანე-

(დასასრული მეორე გვერდზე)

დაიწყო რესპუბლიკური შეჯიბრება ცხენოსნობაში

16 ოქტომბერს თბილისში, დელიხის (საბურთალო) ახალ იპოდრომზე დაიწყო რესპუბლიკური შეჯიბრება ცხენოსნობაში 1949 წლის პირველობაზე ლ. პ. ბერიას სახელობის თასის მოსაპოვებლად.

შეჯიბრების დაწყებამდე ბევრად ადრე, ხაზეინმად მორთულ იპოდრომზე, ახი ათასზე მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი. მთავრობის ტრიბუნაზე არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გოგუა, მ. ბარამია, ა. თოფურიძე, რ. შადური, გ. ზამბახიძე, კ. ციმაკურიძე, კ. ჭეჭინაძე, ი. ზოდელავა, ა. ჯიშიაშვილი და სხვები.

დღის 12 საათი. გაისმის ბუკის ხმა. სტადიონზე მწყობრად შემოდიან შეჯიბრებაში მონაწილე ცხენოსანთა გუნდები. წინ მოდის გასული წლის ჩემპიონი — ზუგდიდის ცხენოსანთა გუნდი. შემდეგ მოედანზე გამოჩნდნენ ცხაკაიას, გუდაუთის, სიღნაღის, სამტრედიის, წალენჯიხის, ხობის, ქობულეთის, სტალინირის, გურჯაანის, აბაშის, ყაზბეგის და დუშეთის ცხენოსანთა გუნდები. პირად პირველობაზე შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საბჭოთა არმიის, სახპორტო საზოგადოება „დინამოსა“ და „სპარტაკის“ მხედრები. სულ პარადში მონაწილეობა მიიღო 312 ცხენოსანმა.

პარადის მიღების შემდეგ შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმა და წარმატებები უსურვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ფარულავამ.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი კ. ნაჭყებია განკარგულებას იძლევა გასული წლის ჩემპიონებმა აღმართონ შეჯიბრების ალამი. 1948 წლის ჩემპიონები ზუგდიდის რაიონიდან თ. ჭითანავა, დარასელია და ნაჭყებია მაღლა სწევენ პირველობის გათამაშების ალამს. იწყება შეჯიბრება.

ისინდში ერთმანეთს შეეჯიბრნენ ზუგდიდისა და სტალინირის, გუდაუთისა და წალენჯიხის გუნდები. ზუგდიდის გუნდმა დაამარცხა სტალინირის ცხენოსანთა გუნდი, ხოლო გუდაუთმა მოუგო წალენჯიხას.

მაყურებელთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნე ქალთა შეჯიბრებამ დაბრკოლებათა გადალახვაში პირად პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 13 მხედარი ქალი. ყველა დაბრკოლება გადალახა და პირველობა მოიპოვა გუდაუთელმა ი. ბაგაევამ, მეორე ადგილი დაიკავა გ. ჩიჩუამ (ცხაკაია), მესამე ადგილზე გამოვიდა თ. ჭითანავა (ზუგდიდი).

საინტერესო იყო შეჯიბრება ჩეხვაში პირად პირველობაზე. მონაწილეობდნენ მხედრები თითქმის ყველა გუნდიდან. სპორტის ამ სახეში გაიმარჯვა აჩბამ (გუდაუთი), მეორე ადგილზე გამოვიდა მირცხულავა (ფოთი), ხოლო მესამეზე — გურაშვილი (გურჯაანი).

შემდეგ გაიმართა შეჯიბრება დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში (საშუალო კლასი). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ფინალში დაშვებული ყველა რაიონის, სახპორტო საზოგადოებათა („დინამოს“, „სპარტაკის“) და საბჭოთა არმიის მხედრები, აგრეთვე სპარტაკელი მხედარი ქალები ნ. როინიშვილი და ო. როგე. შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა სპარტაკელმა მხედარმა ქალმა ნ. როინიშვილმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ზუგდიდელი ვ. ხარებავა, მესამე ადგილი მიეკუთვნა ვ. მანჯავიძეს (სახპორტო საზოგადოება „სპარტაკი“).

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საჩვენებელმა თამაშმა ჩოგანბურთში, რაც ცხენოსნური სპორტის ერთ-ერთ უძველეს სახეს წარმოადგენს. ჩოგანბურთს თამაშობდნენ ზუგდიდისა და გუდაუთის გუნდები.

ცხენოსნობის უმაღლესი სკოლა უჩვენა მილიციის კაპიტანმა ი. ბუხაროვმა, რამაც მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა.

შემდეგ გაიმართა შეჯიბრება დოღში ორ კილომეტრზე. ცხენოსნური სპორტის ამ სახეში პირველი ადგილი აიღო ლ. არდიამ (ცხაკაია), მეორე ადგილზე გამოვიდა ბ. ბანდერაშვილი (სიღნაღი), მესამეზე — ა. კალანდია (გუდაუთი), ხოლო მეოთხე ადგილზე—სტალინირელი რ. ნახანოვი.

სახპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ მხედრებმა მაყურებელთ უჩვენეს საცხენოსნო თამაში „პოლო“.

მაყურებელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ მარულაში 10 კილომეტრზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ფოთის, ცხაკაიას, ხობის, ზუგდიდის, სამტრედიის, ქობულეთის, წალენჯიხის, გუდაუთის და აბაშის ცხენოსნები, მათ შორის ნორჩი ცხენოსნებიც. ხალხური ნაციონალური ცხენოსნური სპორტის ამ სახეობაში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ცხაკაიელმა ახალგაზრდა მხედარმა ვ. გვარამიამ. მეორე ადგილზე გამოვიდა ზუგდიდელი ხ. ხასია, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა ვ. მაქაცარიამ (ფოთი).

* * *

შეჯიბრების მეორე დღეს, 17 ოქტომბერს, ისინდში ერთმანეთს შეხვდნენ: ფოთისა და აბაშის; ხობისა და ცხაკაიას; ქობულეთისა და ზუგდიდის; გუდაუთისა და სიღნაღის; სამტრედიისა და ფოთის გუნდები.

ფოთი-აბაშის ცხენოსანთა შეჯიბრი ისინდში დამთავრდა ფოთის გუნდის გამარჯვებით. ხობელმა მხედრებმა მოუგეს ცხაკაიას გუნდს, ზუგდიდელებმა — ქობულეთელ ცხენოსნებს, გუდაუთმა დაამარცხა სიღნაღის გუნდი, ხოლო სამტრედიის ცხენოსანთა გუნდს აჯობეს ფოთელმა ცხენოსნებმა.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს ხევსურმა ცხენოსნებმა. მათ შეჯიბრებაზე გვიჩვენეს სპორტის ერთ-ერთი ძველი ნაციონალური სახე—ფარიკაობა.

დამსწრეებმა ერთსულოვანი ტაშით დაუჯილდოვეს ხევსურთა საჩვენებელი გამოსვლა—ჯირითობა-დოღი: იპოდრომის სამხრეთით მთებში გამოჩნდნენ ხევსური მოჯირითეები. მათმა ცხენებმა საუკეთესო სპორტული გაწრთვნა გვიჩვენეს, რამდენიმე წუთის შემდეგ ფინიშთან პირველი მივიდა 14 წლის ყაზბეგელი ქ. ოჩიაური. მაყურებლები ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებენ ნორჩ მხედარს.

ფოთისა და ცხაკაიას გუნდებმა ითამაშეს ჩოგანბურთი. ფოთის გუნდმა მოუგო ცხაკაიას გუნდს.

სახპორტო საზოგადოება „სპარტაკმა“ მაყურებელს უჩვენა მხედრების ბრძოლა ესპადრონებით, რომელმაც მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. თამაშობდნენ როგორც ვაუთა, ისე ქალთა გუნდები.

მობალისე მხედრებმა ამ დღეს აჩვენეს აგრეთვე დოღი დაბრკოლებათა გადალახვით 3 კილომეტრზე. დოღის მონაწილეები ეჯიბრებოდნენ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში ფინიშთან პირველი მივიდა ნორჩი მხედარი სიგუა (ცხაკაია), მეორე ადგილი დაიკავა წალენჯიხელმა ახალგაზრდა მხედარმა კვარაცხელიამ, ხოლო მესამე ადგილი—სპარტაკელმა წვერავამ. მეორე წრეში ფინიშთან პირველი მივიდა სტალინირელი კ. ჯაბიევი.

ნორჩმა ცხენოსანმა გური ძიძიგურიმ ამ დღეს მაყურებელს უჩვენა დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა. მან საუკეთესოდ შესძლო თავისი ცხენით ყველა დაბრკოლებათა დაძლევა.

* * *

დღეს შეჯიბრების მესამე დღეა. წარმოდგენილი იქნება სამანეჟო სვლა; დაბრკოლებათა გადალახვა (მსუბუქი კლასი), ცხენოსნობის უმაღლესი სკოლა, ჯირითობა და ბოლოთიერება, ჩოგანბურთი. მარულა 5 კილომეტრზე და ისინდი (ჯგუფებში გამარჯვებულთა პირველი წრის ორი შეხვედრა).

შეჯიბრება დაიწყება დღის 12 საათზე.

რესპუბლიკური შეჯიბრება ცხენოსნობაში 1949 წლის პირველობაზე ლ. ბ. ბერიას სახელობის თასის მოსაპოვებლად. სურათზე: 1. 10-კილომეტრიან მარულაში გამარჯვებული ვ. გვარამია (ცხაკაია); 2. შეჯიბრებაში მონაწილეთა პარადი; 3. ზუგდიდისა და სტალინირის ცხენოსანთა შეხვედრა ისინდში; 4. დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში გამარჯვებული ი. ბაგაევა (გუდაუთი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა და რ. აკოფოვისა.

თბილისის მრეწველობის მუშაობა 1949 წლის მესამე კვარტალში

ქალაქ თბილისის ძირითადმა სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების კვარტალური გეგმა შეასრულეს 103,3 პროცენტით. სარეწო კოოპერაციის არტელებმა გეგმა შეასრულეს 97,3 პროცენტით და ინვალიდთა კოოპერაციის არტელებმა — 99,4 პროცენტით.

საქართველოს სსრ ცალკე სამინისტრო

ორდენებისა და მედლების გადაცემა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის

(დასასრული)

ბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. ვ. ჯაბუას, საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანს ვ. ვ. სიხარულიძეს, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს დ. ი. ჭეიშვილს, რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს მ. ი. ჭანუყვაძეს და სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარ აგრონომს დ. ე. მჟავიას.

სულ ლენინის ორდენი და ოქროს medალი „ნამგალი და ურო“ სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების სიგელთან ერთად ამ დღეს გადაეცა სოფლის მეურნეობის 223 მოწინავეს.

დაჯილდოებულთა სახელით პირველი გამოვიდა სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს კ. პ (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანი ი. ა. ფეიქრიშვილი.

— მთავრობის მაღალი ჯილდო, — თქვა ამხ. ფეიქრიშვილმა, — ჩვენ გვავალებს კიდევ უფრო ენერგიულად, კიდევ უფრო თავდადებით ვიმუშაოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მზრუნველობის პასუხად ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს შრომითს მეცადინეობას, კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას ყურძნისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის, საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

მგრძნობიარე სიტყვით გამოვიდა სოციალისტური შრომის გმირი, ზესტაფონის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ი. ა. ჭულუხაძე.

— ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება, — თქვა მან, — მკაფიო მაჩვენებელია ლენინ-სტალინის პარტიის დაუღალავი მზრუნველობისა კოლმეურნე გლეხობისათვის, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის. ჩვენ, კოლმეურნეები, გამსჭვალული ვართ ერთი სურვილით, ერთი მისწრაფებით — ვიმუშაოთ ისე, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის.

შარშან მოწინავე კოლმეურნე მევენახეთა რესპუბლიკურ შეკრებაზე ჩვენ პირობა მივეცით საყვარელ ბელადს, რომ უხვ მოსავალს მოვიყვანდით. ჩვენი სიტყვა შეგასრულეთ. გასული წლის არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, ჩემმა ბრიგადამ 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 80,3 ცენტნერი შამპანური ჯიშის ყურძენი. საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს შრომას. მე და ბრიგადის სამ მერგოლურს მოგვენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ხოლო ბრიგადის ორი სხვა წევრი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებით. მაგრამ ჩვენ მიღწეულით არ დავკმაყოფილდებით. ბრძოლა ყურძნის კიდევ უფრო მაღალი მოსავლისათვის —აი ჩვენი პასუხი ჯილდოზე. მიმდინარე წელს ჩვენმა ბრიგადამ ვალდებულება იკისრა ჰექტარზე მიიღოს 100 ცენტნერი შამპანური ჯიშის ყურძენი.

ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის დაჯილდოებულ მშრომელთა სახელით გამოვიდა სოციალისტური შრომის გმირი კოლმეურნეობა „კოლხიდის“ მერგოლური ნ. ი. ხარებავა.

— შარმან, — თქვა მან, — ჩვენი რაიონის კოლმეურნეებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ჩაის, სიმინდის, ციტრუსოვანთა ნაყოფისა და ტუნგოს უხვი მოსავლის მიღებაში. თავდადებული შრომისათვის რაიონის სოფლის მეურნეობის 34 მოწინავეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ხოლო 200 კაცი დაჯილდოებულია ორდენებითა და medალებით. ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში ეძლევა ასე მაღალი შეფასება უბრალო ადამიანების შრომას, რომ ჩვენი მეცადინეობა ხელს უწყობს საბჭოთა ქვეყნის ძლიერების კიდევ უფრო ზრდას.

კოლმეურნე გლეხობისაგან სამშობლო მოელის უხვ მოსავალს. ზუგდიდელი კოლმეურნეები ძალღონეს არ დაზოგავენ იმისათვის, რომ შემდეგშიც მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი ჩაი, ციტრუსის ნაყოფი, სიმინდი.

ბოლშევიკური პარტიის, მთავრობისა და ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული სოციალისტური შრომის გმირის ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ მერგოლურის გ. ი. თანდილავშვილის სიტყვა.

— პარტიამ და მთავრობამ, — ამბობს იგი, — სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომანიჭეს თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებისათვის. ჩვენმა რგოლმა გასულ წელს 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 28,9 ცენტნერი თამბაქო. წელს ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 35 ცენტნერი თამბაქო.

მაღალი მოსავლის მიღებისათვის საჭიროა აგროტექნიკის ყველა წესის მტკიცედ დაცვა. ვიცით რა ეს, ჩვენ გულმოდგინედ ვუვლით პლანტაციებს. ეს უზრუნველყოფს ჩვენ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

კოლმეურნეები არასოდეს არ ივიწყებენ, რომ მათი შეძლებული ცხოვრების წყაროს წარმოადგენს პატიოსანი, თავდადებული შრომა. ახსოვთ რა ეს, ჩვენი კოლმეურნეობის წევრები დაუღალავად შრომობენ. ახლა ჩვენს კოლმეურნეობაში არის 19 სოციალისტური შრომის გმირი, 53 ორდენოსანი. ჩვენდამი, კოლმეურნეებისადმი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის დიდი მადლობა მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს.

გულის სიღრმეში ჩამწვდომი, მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ლანჩხუთის რაიონის სტალინის სახელობის საოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნე ქალი, სოციალისტური შრომის გმირი შ. მ. ჩხაიძე.

— პარტია, მთავრობა, ჩვენი დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი, — თქვა მან,—დაუღალავად ზრუნავენ საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის, უდიდეს ხდობას იჩენენ ჩვენს მიმართ. ეს ჩვენ აღგვაფრთოვანებს ახალი წარმატებებისათვის შრომაში. წარმატებები თავისთავად როდი მოდის. ისინი უნდა მოვიპოვოთ ენერგიული ბრძოლით. ახალი წარმატებების მიღწევაში, უხვი მოსავლის მიღებაში ჩვენ დახმარებას გვიწევს სოციალისტური შეჯიბრება. მონაწილეობას იღებდნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რაიონის კოლმეურნეებმა, მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 300 ტონით უფრო მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, ვიდრე შარშან. სიტყვები არ გვყოფნის იმისათვის, რომ გამოვთქვათ ჩვენი მადლობა ბოლშევიკური პარტიისადმი, მთავრობისადმი, ამხანაგ სტალინისადმი. კოლმეურნეები მუდამ პირნათლად გაამართლებენ სამშობლოს ნდობას.

დაჯილდოებულთა სახელით მუშაობის მაღალი შეფასებისათვის პარტიისადმი, მთავრობისადმი, პირადად ამხანაგ სტალინისადმი მადლობის სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მახარაძის რაიონის ჩარკვიანის სახელობის საოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნე ქალი ნ. ა. გოგატაძე, ბათუმის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ქალი ა. ხ. მაჭუტაძე, ქობულეთის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ქალი ა. რ. გოგიტიძე.

ამხ. ვ. ბ. გოგუამ მიულოცა სოფლის მეურნეობის მოწინავეებს მაღალი ჯილდოების მიღება და მიმართა სიტყვით, რომელიც დამსწრეებმა არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

— ჩვენი ქვეყანა,—თქვა ამხ. გოგუამ,—სადაც შრომა მაძაცობისა და გძირობის საქმედ იქცა, ძლევამოსილად მიდის კომუნიზმის გზით. როგორც მთელი საბჭოთა კავშირის, ისე საქართველოს მშრომელნი ძალღონის დაუზოგავად შრომობენ თავიანთი სამშობლოს, მშობლიური სოციალისტური სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

სამშობლო ღირსეულად აფასებს ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა პატრიოტების თავდადებულ შრომას. 1947 წლის შედეგების მიხედვით ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის 260 მშრომელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და 1.675-ზე მეტი კაცი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და medალებით. 1948 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღწევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება უკვე მიენიჭა საქართველოს სსრ 523 კოლმეურნეს და ორდენებითა და medალებით დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სსრ 3.129 კოლმეურნე, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, პარტიული და საბჭოთა მუშაკი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელების მიერ მოპოვებული წარმატებანი მკაფიოდ ასახავენ ჩვენი რესპუბლიკის საერთო აღმავლობას სოციალისტური მეურნეობის ყველა დარგში.

საქართველოს სს რესპუბლიკის მიერ მიღწეული წარმატებანი, — ამბობს ამხ. გოგუა,—შედეგია დიდი სტალინის დაუღალავი მამობრივი მზრუნველობისა ქართველი ხალხისათვის. ეს წარმატებები მჭიდროდ დაკავშირებულია იმ ყოველდღიურ მზრუნველობასა და დახმარებასთან, რომელსაც ჩვენს რესპუბლიკას უწევს ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი ამხანაგი ლ. პ. ბერია. ეს მზრუნველობა საქართველოს მშრომელებს აღაფრთოვანებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისა და გაფურჩქვნისათვის საბრძოლველად, ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის ჩვენი სამშობლოს სასახელოდ.

შეეხო რა ამოცანებს, რომლებიც საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ დააყენა რესპუბლიკის ბოლშევიკებისა და ყველა მშრომელის წინაშე, ამხ. გოგუამ მოუწოდა სოფლის მეურნეობის მუშაკებს კიდევ უფრო ენერგიულად გააჩაღონ ბრძოლა მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

დასასრულ ამხ. ვ. ბ. გოგუამ რწმენა გამოთქვა, რომ კოლმეურნე გლეხობა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით პირნათლად შეასრულებენ რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, მაღალი, მყარი მოსავლის მიღების საქმეში საბჭოთა მთავრობის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ამოცანებს.

(საქმესი).

მოსკოვის „დინამოს“ გუნდი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონია ფეხბურთში

14 ოქტომბერს მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე გათამაშდა უკანასკნელი მატჩი ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდი შეხვდა ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელებს.

შეხვედრა ფრედ დამთავრდა, ანგარიშით 1:1.

* * *

წლევანდელ სეზონში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლას ეწეოდა ოსტატთა 18 გუნდი. გათამაშდა 306 მატჩი. შეხვედრები მოეწყო თორმეტ ქალაქში.

ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის 1949 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა მოსკოვის „დინამოს“ გუნდმა. 34 მატჩში მან გამარჯვება მოიპოვა 26-ში, ფრედ დამთავრა 5 და მხოლოდ სამში დამარცხდა. დინამოელებმა მეტოქეთა კარში გაიტანეს ბურთების სარეკორდო რაოდენობა —104, თავიანთ კარში გაუშვეს 30 და შეაგროვეს 57 ქულა.

შარშანდელმა ჩემპიონმა — წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. მან 51 ქულა შეაგროვა, ისევე როგორც შარშან, მესამე ადგილზეა მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდი — 49 ქულა. მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდმა და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდმა შეაგროვეს 42 ქულა, თვითეულმა. მაგრამ ავტომარხნელებს გატანილი და გაშვებული ბურთების უკეთესი შეფარდება აქვთ და ამის გამო მეოთხე ადგილს იღებენ. „ზენიტმა“ მეხუთე ადგილი დაიკავა. (საკდესი).

მოსკოვის „დინამოს“ გუნდის ფეხბურთელებს ოქროს medალები გადაეცათ

16 ოქტომბერს მოსკოვში, „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე, საზეიმო ვითარებაში „დინამოს“ მოსკოვის გუნდს გადაეცა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლაში. ჩემპიონობის ოქროს medალები და პირველი ხარისხის დიპლომები მიიღეს: „დინამოს“ გუნდის კაპიტანმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. სოლოვიოვმა და მოთამაშეებმა — სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა კ. ბესკოვმა, მ. სემიჩასტნიმ, ა. მალიავკინმა, ს. სოლოვიოვმა, ვ. ბლინკოვმა, ა. ხომიჩმა, ვ. კარცევმა, ვ. ტროფიმოვმა, სპორტის ოსტატებმა ა. პეტროვმა, ი. კონოვმა, ვ. სავდუნინმა, ვ. სანაიამ, ფეხბურთელმა ნ. ივანოვმა. „დინამოს“ გუნდის უფროსი მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. იაკუშინი დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით. (საკდესი).

დაიწყო სსრ კავშირის XVII საჭადრაკო ჩემპიონატი

15 ოქტომბერს მოსკოვში დაიწყო XVII საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალი. ჩემპიონატში მონაწილეობს ნახევარფინალურ ტურნირებში გამარჯვებული 9 გროსმაისტერი და სპორტის 11 ოსტატი. ავადმყოფობის გამო ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებს გროსმაისტერი ი. ბონდარევსკი (ლენინგრადი).

ტურნირის მთავარმა მსაჯმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. გოგლიძემ (თბილისი) მონაწილეებს გააცნო ჩემპიონატის გათამაშების დებულება. ტურნირში გამარჯვებულ ენიჭება ჭადრაკში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. იგი დაჯილდოდება ოქროს medალით და პირველი ხარისხის დიპლომით. ის, ვინც მეორე ადგილს დაიკავებს, მიიღებს ვერცხლის medალს, ვინც მესამე ადგილს დაიკავებს — ბრინჯაოს medალს.

თუ პირველ ადგილზე გამოვიდა ჩემპიონატის ორი ან რამდენიმე მონაწილე, მათ შორის მოიწყობა დამატებითი მატჩ-ტურნირი გამარჯვებულის გამოსავლენებლად.

დაწესებულია დიდი რუსი მოჭადრაკის მ. ი. ჩიგორინის სახელობის სამი პრიზი ტურნირის საუკეთესო პარტიებისათვის. გარდა ამისა, დაწესებულია პრიზი საუკეთესო შედეგისათვის უკანასკნელ ხუთ ტურში და პრიზი არაპრიზრებისათვის პრიზერთა წინააღმდეგ საუკეთესო შედეგისათვის.

* * *

უძლიერესი საბჭოთა მოჭადრაკეები მეჩვიდმეტეჯერ ხვდებიან ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის საპატიო წოდებისათვის ბრძოლაში. 16 ოქტომბერს პირველი ტურის დაწყების წინ, მაყურებლები, რომლებიც რკინიგზელთა კულტურის ცენტრალური სახლის დარბაზში შეკრიბნენ, გულთბილად მიესალმნენ პირველობის მონაწილეებს. მალე ყველა პარტიაში საინტერესო ამბები დაიწყო.

გროსმაისტერ კოტოვის მოწინააღმდეგე იყო ყველაზე ახალგაზრდა ოსტატი, სომხეთის სსრ წარმომადგენელი პეტროსიანი. თავდაპირველად მათი პარტიები მშვიდობიანად ვითარდებოდა, მაგრამ მეშვიდე სვლაზე დაშვებული შეცდომის შემდეგ პეტროსიანის მდგომარეობა კრიზისული გახდა. უკვე მე-13 სვლაზე პეტროსიანმა გათვალისწინა რომ ამაო იყო შემდგომი წინააღმდეგობა და დანებდა. სატურნირო ცხრილში აღინიშნა პირველი შედეგი.

საინტერესოდ გათამაშა პარტია გროსმაისტერმა სმისლოვმა არონინის წინააღმდეგ. მან მოწინააღმდეგეს შეუქმნა სუსტი ცენტრალური პაიკი და ძლიერი იერიში განავითარა. არონინმა თავი ვერ დაიცვა და 35-ე სვლაზე დანებდა.

კენჭისყრის შედეგად ადგილები ტურნირში ასე განაწილდა: № 1 ს. ფურმანი (ლენინგრადი), № 2 ა. სოკოლსკი (ლვოვი), № 3 ნ. კოპილოვი (ლენინგრადი), № 4 მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი), № 5 გროსმაისტერი ვ. რაგოზინი (მოსკოვი), № 6 ვ. ლიუბლინსკი (მოსკოვის ოლქი), № 7 გროსმაისტერი ა. კოტოვი (მოსკოვი), № 8 გროსმაისტერი ვ. სმისლოვი (მოსკოვი), № 9 გროსმაისტერი ს. ფლორი (მოსკოვი), № 10 ე. გელერი (ოდესა), № 11 გროსმაისტერი ვ. კერესი (ტალინი), № 12 გროსმაისტერი ა. ლილიენტალი (მოსკოვი), № 13 ლ. არონინი (მოსკოვის ოლქი), № 14 ტ. პეტროსიანი (ერევანი), № 15 ვ. მიკენასი (ვილნიუსი), № 16 გ. გოლდბერგი (ლენინგრადი), № 17 გროსმაისტერი ი. ბრონშტეინი (მოსკოვი), № 18 გროსმაისტერი გ. ლევენფიში (ლენინგრადი), № 19 გროსმაისტერი ი. ბოლესლავსკი (სვერდლოვსკი), № 20 რ. ხოლმოვი (ვილნიუსი).

დღეს, 16 ოქტომბერს, რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში შედგება პირველი ტური. ერთმანეთს ხვდებიან: ფურმანი-ხოლმოვი, სოკოლსკი-ბოლესლავსკი, კოპილოვი-ლევენფიში, რაგოზინი-გოლდბერგი, ლიუბლინსკი-მიკენასი, კოტოვი-პეტროსიანი, სმისლოვი-არონინი, ფლორი-ლილიენტალი, გელერი-კერესი. ტაიმანოვ-ბრონშტეინის პარტია გადადებულია. (საკდესი)

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის შეხვედრა საბჭოთა მეცნიერებთან

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოწვეით სსრ კავშირში ჩამოსული რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ტ. სავულესკუ დიდხანს ეცნობოდა საბჭოთა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების საქმიანობას. იგი ესაუბრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს, ჰოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების თანამშრომლებს, მან დათვალიერა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღი, მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია. ტ. სავულესკუმ მონაწილეობა მიიღო აგრეთვე დიდი რუსი მეცნიერის ი. პ. პავლოვის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებულ ზეიმში.

6 ოქტომბერს შედგა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების სამეცნიერო სექციის სხდომა. დიდი ინტერესით მოისმინეს ტ. სავულესკუს მოხსენება რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის შესახებ.

თავისი მოხსენების დასასრულს ტ. სავულესკუმ განაცხადა, რომ რუმინელ მეცნიერთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების გამოცდილების შესწავლას, და იმედი გამოთქვა, რომ ორივე მეგობარ ქვეყანას შორის კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობა განუწყვეტლივ განმტკიცდება.

სხდომაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა ტ. დ. ლისენკომ, ა. ი. ოპარინმა, ე. ვ. ტარლემ, კ. ი. სკრიაბინმა და სხვა გამოჩენილმა მეცნიერებმა, აგრეთვე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ს. ბუგიჩმა. (საკდესი).

პარტიული ცხოვრებიდან

ორგანიზებულად განაახლეს მეცადინეობა

გასული სასწავლო წლის მდიდარი გამოცდილების კარგად გათვალისწინებით დროულად, ძსძენელთა ცოდნისა და სურვილის მიხედვით დაკომპლექტდა ჯგუფები და პოლიტსკოლები ქობულეთის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროპაგანდისტთა კადრების შერჩევასა და გახაწილებას. წინასწარ გამოიყო შესაფერი ბინები და მომარაგებულ იქნა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

პარტიის რაიკომთან არსებულმა პროპაგანდისტთა სემინარმა ჯერ კიდევ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე 6-ჯერ ჩაატარა მეცადინეობა. პარტიული სწავლების ამა თუ იმ ფორმაში გაერთიანებულ ყველა მსმენელთან სასწავლო წლის მზადების პროცესში პროპაგანდისტებისა და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკების მიერ მოეწყო ინდივიდუალური საუბრები პარტიული განათლების ქსელის მუშაობაში ცალკე მსმენელების ამოცანებზე. ეს საქმიანობა ამჟამადაც გრძელდება.

15 ოქტომბერს რაიონში ყველგან ორგანიზებულად დაიწყო მეცადინეობა. მუშაობას შეუდგა 20 პოლიტსკოლა, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი 15 და ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 30 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 1.275 კაცი. დამოუკიდებლად 594 კომუნისტი იმაღლებს თეორიული მომზადების დონეს.

მეცადინეობის პირველი დღე განსაკუთრებით კარგად ჩატარდა სოფელ მუხაესტატეს ტერიტორიულ (პროპაგანდისტი დ. ცეცხლაძე), სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის (პროპაგანდისტი თ. გონიაღი), ჩაქვის № 1 ჩაის ფაბრიკის (პროპაგანდისტი ა. ანდღულაძე), ჩაქვის საბჭოთა ძეურნეობის (პროპაგანდისტი რ. იაშვილი) და სოფელ ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის (პროპაგანდისტი ი. სალუქვაძე) საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ პოლიტსკოლებსა და წრეებში, სადაც ყველა მსმენელი უკლებლივ და დაუგვიანებლივ გამოცხადდა მეცადინეობაზე და აქტიური მონაწილეობა მიიღო მათთვის განკუთვნილი მასალის შესწავლაში. მაგალითად, სოფელ ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელ წრეში 17 მსმენელი ირიცხება. ჩვიდმეტივე დანიშნულ დროზე სათანადო სასწავლო ნივთებით გამოცხადდა მეცადინეობაზე. პროპაგანდისტმა ამხ. ი. სალუქვაძემ შესავალ საუბარში ცოცხლად და საინტერესოდ განუმარტა მსმენელებს ბოლშევიკური პარტიის ფუძემდებლებისა და ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის უდიდესი როლი მთელი მსოფლიოს მშრომელთა კეთილდღეობისათვის ბრძოლის საქმეში, მათი დაუღალავი და ღრმამშინაარსიანი მუშაობა კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის. პროპაგანდისტის მიზიდველმა და საქმიანმა საუბარმა მსმენელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ყველა მსმენელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თემის განხილვაში.

დ. პაიჭაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

პირველი დღე

15 ოქტომბერს ქუთაისის რაიონის პარტიული განათლების ქსელში ორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი. მეცადინეობას შეუდგა 63 წრე და პოლიტსკოლა, რომლებშიც 1.330 მსმენელია გაერთიანებული.

სოფელ საყულიის კოლმეურნეობა „კომუნარის“ პარტორგანიზაციასთან შექმნილ ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელ წრეში პირველ მეცადინეობას ყველა მსმენელი დაესწრო. პროპაგანდისტმა მ. სვანაძემ შესავალ საუბარში გასაგებად და შინაარსიანად განმარტა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეში.

საინტერესოდ ჩაატარა პირველი მეცადინეობა პროპაგანდისტმა შ. ავალიანმა კვახჭირის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან არსებულ „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეში ორგანიზებულად დაიწყო მუშაობა. პირველმა მეცადინეობამ ცხადყო, რომ ამ წრის მსმენელებს კარგად ჰქონდათ შეთვისებული წინა სასწავლო წლის მანძილზე გავლილი მასალა. წრის პროპაგანდისტმა ამხ. ხაჩიძემ შესავალი საუბრის შემდეგ ახალი თემა ახსნა. წრის მსმენელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს თემის განხილვაში და მთელი რიგი საკითხები დააყენეს ახალი სასწავლო წლის ნაყოფიერად წარმართვისათვის.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდი ითქმის სურამის სატყეო მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრის შესახებ. აქ მეცადინეობაზე 32 კაცის ნაცვლად მხოლოდ 10 მსმენელი გამოცხადდა. წრის პროპაგანდისტმა ამხ. გ. გელაშვილმა არჩია მეცადინეობა არ „ჩაეშალა“ და შეუდგა მუშაობას. აღსანიშნავია, რომ სატყეო მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. შ. კურბატოვმა უპასუხისმგებლობა გამოიჩინა პირველი მეცადინეობის მოწყობაში. უფრო მეტი, მან განაცხადა: „რა ჩემი ბრალია, მსმენელები ტყის მცველები არიან და ისინი თავისი მოვალეობის შესასრულებლად არიან წასულნი“, თან დამატა: „დღეს მეცადინეობის პირველი დღეა და ასეთი რამ გვეპატიებიო“. ასევე შეიძლება ითქვას რკინიგზის სურამის სადგურისა და სოფელ ჯაფინაურის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივნების კ. ხაჩიძის და ს. შუბითიძის შესახებ, რომლებმაც არათუ წრის მსმენელების დასწრება უზრუნველყვეს სატყეო მეურნეობასთან არსებულ ზემოაღნიშნულ წრის მეცადინეობაზე, არამედ თვითონაც არ მოვიდნენ მეცადინეობაზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომმა ამთავითვე გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს მეცადინეობის პირველ დღეებში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ვ. გურგენიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

აღვკვეთოთ უპასუხისმგებლობა

ხაშურის რაიონის სურამის სოფლის კოოპერატივთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაცია კარგად მოემზადა პარტიული სწავლების ქსელში ახალი სასწავლო წლის შესახვედრად. აქ კარგად გათვალისწინეს ისიც, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცადინეობის დაწყების პირველ დღეს. ყველაფერი წინასწარ მოამზადეს, მსმენელებმა კარგა ხნით ადრე იცოდნენ, რა დროს და სად უნდა დაიწყოთ მუშაობა. პროპაგანდისტი ბ. ხაჩიძეც ადრევე შეუდგა მზადებას. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ აქ არსებულ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეში ორგანიზებულად დაიწყო მუშაობა. პირველმა მეცადინეობამ ცხადყო, რომ ამ წრის მსმენელებს კარგად ჰქონდათ შეთვისებული წინა სასწავლო წლის მანძილზე გავლილი მასალა. წრის პროპაგანდისტმა ამხ. ხაჩიძემ შესავალი საუბრის შემდეგ ახალი თემა ახსნა. წრის მსმენელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს თემის განხილვაში და მთელი რიგი საკითხები დააყენეს ახალი სასწავლო წლის ნაყოფიერად წარმართვისათვის.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდი ითქმის სურამის სატყეო მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრის შესახებ. აქ მეცადინეობის ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელ წრეში. აქ მსმენელებმა საფუძვლიანად შეისწავლეს ბოლშევიკური პარტიის საქმიანობა ანტანტის პირველი შემოტევის დროს, მუშაობის პროცესში მათ კარგად გამოიყენეს დამხმარე მასალები.

ორგანიზებულად ჩატარდა ახალი სასწავლო წლის პირველი დღე ქუთაისის მტს-შიც. პოლიტსკოლის ხელმძღვანელის ალ. ჟორჟოლიანის საუბარმა — „როგორ ცხოვრობდნენ მუშები და გლეხები მეფის რუსეთში“— ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მსმენელებმა — წარჩინებულმა ტრაქტორისტმა აკაკი მუშკუდიანმა, ვლადიმერ კოღუაშვილმა, ვალერიან კიზირიამ აქტიური მონაწილეობა მიიღეს თემის განხილვაში და საინტერესო შეკითხვები მისცეს პროპაგანდისტს, რაზეც ამომწურავი პასუხი მიიღეს..

ბ. მეფისაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სოციალისტური შრომის გმირები

ი. ა. ფეიქრიშვილი

პარტიის გურჯაანის რაიონული კომიტეტის მდივანი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 19 პროცენტის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.



ნ. ი. ხარებავა

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 2,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 8.152 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ნ. ა. გოგატაძე

მახარაძის რაიონის კონეკათის სასოფლო საბჭოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.298 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ი. დ. ხიდაშელი

ზესტაფონის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 100,2 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ახალმშენებლობათა მოწინავე ადამიანები

კურსებელი კალატოზები

წაშუალო ტანის, ხაში შესული, ჭარმაგი შესახედაობის კაცი, რომელსაც სრულიად არ ეტყობოდა უკან მოტოვებული 75 წლის სიმძიმე, საკვირველი მოხერხებულობით ამოძრავებდა ხან ტარახს, ხან უჩარდას, ხანაც სატეხს და ბოლნისის ფერადსახოვანი მოსაპირკეთებელი ქვებით საოცარი სიმარდით ამოჰყავდა ფანჯრის იმპოსტი. მხარმარჯვნივ მეორე ფანჯარა მოჩანდა: ამავე ოსტატის დაუცხრომელ მარჯვენას რამდენიმე დღის წინათ მოყვითალო თლილი ქვით ამოუყვანია მისი იმპოსტი და ზედ ალუმართავს ნაირსახოვანი ჭართული ორნამენტით შემკობილი ლამაზი კაპიტელი.

ეს ოსტატი კურსებელი კოლმეურნეკასიონ უკლებაა, რომელიც თავის სახლიკაცებთან — ვასილ და ლევანტი უკლებებთან ერთად მეორე წელია ტყიბულიდან ჩამოვიდა თბილისში მთავრობის სასახლის ახალი კორპუსის მოპირკეთებაზე სამუშაოდ. კურსებლებმა ბრიგადა შეადგინეს და თავდადებული შრომით სახელი გაითქვეს.

15 წლისა იყო კასიონ უკლება, როცა გასული საუკუნის მიწურულში დაიწყო ქვის თლა და შენობის მოპირკეთება. ხელობა მას უფროსმა ბიძამ შეასწავლა.

— კურსების მოსახლეობა უმეტესად ხელოსნობას მისდევდა — იგონებს კასიონი, — რადგან მაშინდელი ჩვენი სოფლის მეურნეობა ათში ერთ მოსახლეს ვერ უზრუნველყოფდა წლიდან წლამდე საკმაოდ მოსავლით. ამიტომ იყო რომ საქართველოს ყოველ კუთხეში შეხვდებოდით მაშინ „ფულის საშოვნელად“ წასულ კურსებელ ხელოსნებს. მაგრამ საშუშაოც ძნელი საშოვნი იყო. ეშვიათად, ეკლესიას თუ აშენებდნენ სადმე. ადამიანური ცხოვრების შესაძლებლობა საბჭოთა წყობილების დროს მოგვეცა, შრომას ფასი დაედო, იგი სახელისა და დიდების საქმე გახდა! ახლა ჩვენი სოფელი შეძლებულად ცხოვრობს. საკოლმეურნეო შრომამ მოსავლიანი გახადა ჩვენი სოფლის მწირი ნიადაგი. ამჟამად იქ დოვლათით სავსე ოჯახი მაქვს, აქ კი მშენებლობაზე, ჩემი თვიური გამომუშავება ორი ათას მანეთს აჭარბებს.

კასიონ, ლევანტი და ვასილ უკლებებმა სახელი გაითქვეს ზაჰესის, რიონჰესის, ლიბანის სანატორიუმის, მარქსენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მშენებლობებზე. 1936-1937 წლებში მუშაობდნენ მთავრობის სასახლის ეზოს ფასადის მოპირკეთებაზე. მაშინ არა ერთხელ საზეიმოდ მიუღიათ, გარდამავალი წითელი დროშა ყველაზე უკეთესი საწარმოო მაჩვენებლებისათვის.

სამამულო ომის პერიოდში ისინი სოფელ კურსებში ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობდნენ და გამოირჩეოდნენ როგორც ყველაზე დისციპლინიანი და ბეჯითი კოლმეურნეები.

ჩვეული მონდომებით შეუდგნენ სამუშაოს კასიონი, ლევანტი და ვასილ უკლებები. პირველად სვეტების მოსაპირკეთებელი კუთხის ცილინდრული პილასტრების დამზადება დაიწყეს. თლიდენ ქვას, ხეხავდნენ, აშნიდაკებდნენ. საწარმოო დავალებას სისტემატურად 150-160 პროცენტით ასრულებდნენ. მათ ნამუშევარს საუკეთესო შეფასება ეძლეოდა.

მიმდინარე წლის აპრილიდან კურსებელმა კალატოზებმა სასახლის ფასადის კორპუსის წინაკედლის მოპირკეთება დაიწყეს. ამ საქმეში მათ დიდი დახელოვნება, გულმოდგინება, სიზუსტე გამოამჟღავნეს.



სურათზე: კურსებელი კალატოზები — ვასილ და კასიონ უკლებები მთავრობის სასახლის შენობის მოპირკეთებაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

* * *

შენობის მოპირკეთება ქვის წყობაში დიდ დაკვირვებულობასა და სიზუსტეს, ერთმანეთთან ქვების მჭიდროდ და სწორად მიშენებას მოითხოვს. ამასთან მომპირკეთებელმა უნდა შეძლოს ქვის ბუნებრივი სახეების გემოვნებით შერჩევა. ამ სამუშაოს კალატოზთა ეს სახელოვანი ბრიგადა წარმატებით ასრულებს. ამას იგი იმით აღწევს, რომ თვითეული მისი წევრი მუშაობს მოფიქრებულად, გეგმიანად, შრომის პროცესთა თანმიმდევრობის დაცვით, ზედმიწევნით ფლობს ხელსაწყო-იარაღთა გამოყენების ტექნიკას, მაღალი სიზუსტით მუშაობის კლასს.

მოპირკეთების ყველა სახის სამუშაოში დახელოვნებით, თავდადებული, ბეჯითი შრომით კურსებელი კალატოზები საწარმოო დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. ნორმით ერთმა კალატოზმა დღეში 0,75 კვადრატული მეტრი კედელი უნდა მოპირკეთოს. კალატოზთა ამ მოწინავე ბრიგადის თვითეული წევრი კი დღეში ერთ და ზოგჯერ ერთნახევარი კვადრატული მეტრი კედლის მოპირკეთებას ასწრებს. ამასთან მათი ნამუშევარი ყოველთვის საუკეთესოდ არის შესრულებული.

ვასილ, კასიონ და ლევანტი უკლებები ახლა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული და წარმატებით იბრძვიან ახალი წარმატებებისათვის.

მ. არაფიძე
ზ. ჩიქვინიძე

ჭარხლის უხვი მოსავალი

გორელ მეჭარხლეთა მოწოდებას შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაწლის შესახებ კასპელი მეჭარხლეები მხურვალედ გამოეხმაურნენ. კოლმეურნეობები, ბრიგადები და რგოლები შაქრის ჭარხლის სანაქებო მოსავალს იღებენ.

სოფელ მეტეხის კოლმეურნეობა „გლეხის იმედში“ ორგანიზებულად დაიწყო ჭარხლის ამოღება. ჭარხლის ამოღების პირველ დღესვე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. აბრამაშვილმა შეამოწმა სამუშაოს ხარისხი. გამოირკვა, რომ ჭარხალს წესიერად არ ასუფთავებდნენ, ძირებს მიწას აყოლებდნენ, არ იყენებდნენ ჭარხლის გასუფთავების აგრონომ იარმოშენკოს მეთოდს. თავმჯდომარემ მიუთითა კოლმეურნეებს დანაკარგის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე და შაქრის ჭარხლის აგროტექნიკური წესის დაცვით ამოღების აუცილებლობაზე. ამის შემდეგ ჭარხლის ამოღების ხარისხი დიდად გაუმჯობესდა, სამუშაოთა ტემპი გაძლიერდა და დანაკარგებიც მინიმუმამდე შემცირდა.

მეტეხის კოლმეურნეობის წევრები პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას. ჰექტარზე 400-500 ცენტნერ ჭარხალს იღებენ. ერთი წუთითაც არ ფერხდება მიმღებ პუნქტში ჭარხლის გადაზიდვა.

შაქრის ჭარხლის კარგი მოსავალი აქვთ ქვემოგომის, დოესის, ზემო ხანდაკის, აღაიანის, გუდალეთის და სხვა კოლმეურნეობებს. სოფელ დოესის კოლმეურნეობა „შრომაში“ 36 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 350 ცენტნერ ჭარხალს იღებენ. აქ გაცხოველებული ტემპით წარმოებს ჭარხლის ამოღება, გასუფთავება და მიმღებ პუნქტში გადაზიდვა. ენერგიულად შრომობენ ეფემია ჭონიაშვილის რგოლის წევრები, რომლებიც ჭარხლის იშვიათ მოსავალს იღებენ.

მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა უკვე დაამთავრეს ჭარხლის ამოღება და ჩაბარება.

სოფელ ქვემო გომის კოლმეურნეობაში 16 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 600 ცენტნერ ჭარხალს მოელიან. ამ კოლმეურნეობის ის რგოლი, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი სოფიო მარიდაშვილი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე 1.000 ცენტნერზე მეტ ჭარხალს მიიღებს.

ჭარხლის ამოღების საქმეში არის ნაკლოვანებანიც. სოფელ ახალციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას 52 ჰექტარზე უთესია ჭარხალი. მიუხედავად იმისა, რომ აქ ჭარხლის დაბალი მოსავალია, მაინც სუსტად იბრძვიან დანაკარგების წინააღმდეგ. კოლმეურნეობის აგრონომი ილ. ბარდაძე კი სათანადო ზომებს არ იღებს დანაკარგის აღსაკვეთად.

კასპელმა კოლმეურნეებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ჭარხლის ამოღებისა და მიმღებ პუნქტებზე მისი გადაზიდვის ტემპი.

შ. ჩუბინიძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

გამოხმაურება ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიმართვაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვ. პიკისა და პრემიერ-მინისტრ ო. გროტევოლისადმი

გერმანია

ბერლინი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიმართვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკისა და პრემიერ-მინისტრის ოტო გროტევოლისადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით გერმანიის დედაქალაქის პრესაში 14 ოქტომბერს ცენტრალურ ადგილებზე დიდრონი სათაურებით გამოქვეყნდა.

დღეს გერმანული გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე ათავსებენ ი. ბ. სტალინისადმი პრეზიდენტ ვილჰელმ პიკისა და პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლის სალამურო დეპეშის ტექსტს.

გერმანულ პრესას მოყავს გერმანიის პარტიებისა და ძალთა ორგანიზაციების მრავალი განცხადება, აგრეთვე გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეების, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, ქალებისა და ახალგაზრდობის წარმომადგენელთა აზრები. გამოქვეყნებული დოკუმენტებით და აზრებით, რომლებიც გამსჭვალულია მხურვალე მადლობის გრძნობით, გამოიხატება გერმანელი ხალხის დიდი მადლიერება ყველა ხალხის დიდი მეგობრის, ყველა მშრომელთა ბრძენი ბელადის ი. ბ. სტალინისადმი.

გამოხმაურებაში ერთსულოვნად აღნიშნულია ის ფაქტი, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაური გერმანელ ხალხს მიმართავს, როგორც თანასწორს სხვა ხალხთა შორის, რომ ი. ბ. სტალინი აყვავებას უსურვებს ერთიან, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე გერმანიას. გერმანელი მშრომელები აცხადებენ, რომ მათ ესმით ამ ფაქტის ისტორიული მნიშვნელობა. ბრძენი სტალინი ამბობს, რომ თუ საბჭოთა და გერმანელი ხალხები გამოიჩენენ სიმტკიცეს იბრძოლონ მშვიდობისათვის თავიანთი ძალების ისეთივე დაძაბვით, როგორითაც ისინი ომს ეწოდნენ, მაშინ მშვიდობა ევროპაში შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს. გერმანელი ხალხის ფართო მასები სავსებით ეთანხმებიან სტალინის ამ სიტყვებს.

დღეგანდელ გაზეთებში მოყვანილია გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანების განცხადება: „ჩვენი დროის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის სიტყვებში, რომლებიც ნათქვამია საბჭოთა კავშირის ხალხების სახელით, განმარტებულია მშვიდობიანი და დემოკრატიული გერმანიის, როგორც მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის დიდი ფაქტორისა, მნიშვნელობა. ამ მისასალმებელი დეპეშის ყოველი ფრაზა მოწმობს მეგობრობასა და თანასწორუფლებიანობას, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ საფუძვლად დაუდო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობას“.

გაზეთი „დერ მორგენი“ აქვეყნებს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის პარტიული ხელმძღვანელობის ოფიციალურ განცხადებას ი. ბ. სტალინის მისალმების შესახებ. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის პარტიული ხელმძღვანელობა სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრისადმი გენერალისიმუს სტალინის მისასალმებელ მიმართვას. ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას ესმის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ნდობის გამოცხადებას საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუძემდებლისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურის მხრიდ, რომელიც ამავე დროს ასახიერებს მთლიანად საბჭოთა კავშირის ხალხებს. პარტია ხედავს, რომ ამ მიმართვით საბჭოთა კავშირი ადასტურებს მისწრაფებას ორივე ხალხს შორის ნაყოფიერი და მეგობრული თანამშრომლობისადმი.

ამ მეგობრული კავშირის განმტკიცებასა და გაღრმავებაში ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია ხედავს კაცობრიობის მშვიდობიანი განვითარების საუკეთესო გარანტიას და თავის მხრივ ყოველივე ღონეს იხმარს, რომ ეს ნდობა გერმანელი ხალხისადმი გამართლებულ იქნას. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია მომავალშიც დაუღალავად იმუშავებს იმისათვის, რომ გერმანიის ადამიანთა და ეკონომიური რესურსები არასოდეს აღარ იქნეს გამოყენებული სამხედრო კონფლიქტებისათვის.

ქრისტიან-დემოკრატთა კავშირის გაზეთი „ნოიე �აიტი“ მოწინავე სტატიაში წერს: სტალინის დეპეშა განირჩევა განსაკუთრებით გულითადი, თბილი კილოთი და დიდმნიშვნელოვანი შინაარსით. „ნოიე ciაიტი“ აღნიშნავს, რომ სტალინის მისალმება მიმართულია მთელი გერმანელი ხალხისადმი, ე. ი. მთელი გერმანიის ყველა გერმანელისადმი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო „ნოიეს დოიჩლანდი“ ი. ბ. სტალინის მიმართვას უძღვნის ვრცელ მოწინავე სტატიას სათაურით „ფართო პერსპექტივა“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ი. ბ. სტალინის მისალმებიდან გერმანელმა ხალხმა ორი დასკვნა უნდა გამოიყვანოს: 1) მშვიდობა ევროპაში შეიძლება სრულიად უზრუნველყოფილად ჩაითვალოს თუ გერმანელი ხალხი ისეთივე სიმტკიცით იბრძოლებს მშვიდობისათვის საბჭოთა კავშირის მხარეზე, როგორითაც იგი წარსულში, თავის საუბედუროდ, ომს ეწოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. 2) გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა პირველი დიდი ნაბიჯია ევროპაში ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ზემოხსენებული წანამძღვრის განსახორციელებლად.

„ჩვენ, — განაგრძობს გაზეთი, — გვაკისრია დიდი პასუხისმგებლობა, რასაც დღემდე ბევრი ვერც კი წარმოიდგენდა, — პასუხისმგებლობა მშვიდობისათვის ევროპაში“.

გაზეთებში მოყვანილია გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიის განცხადება ი. ბ. სტალინის მისალმებასთან დაკავშირებით. განცხადებაში ნათქვამია:

„გენერალისიმუს სტალინის მისალმება პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისადმი და, მაშასადამე, მთელი ჩვენი ხალხისადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით გერმანელმა მშრომელმა გლეხებმა, ისე როგორც ყველა სადად მოაზროვნე გერმანელმა, ძალიან ძალლობისა და თავისი ძალებისადმი გაზრდილი რწმენით... გენერალისიმუს სტალინის სიტყვები მეტია, ვიდრე იმ მუშაობის აღიარება, რაც დღემდე გერმანიის დემოკრატიულმა და პროგრესულმა ძალებმა შეასრულეს. სტალინის სიტყვები ამ ძალებისათვის წარმოადგენს სტიმულს — უფრო დაძაბონ თავიანთი ღონისძიებანი ნამდვილად დემოკრატიული, ერთიანი გერმანიის შესაქმნელად და მშვიდობის უზრუნველსაყოფად“.

საქსონიის მხარის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია: „გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა ევროპაში მშვიდობის საწინდარია“.

ი. ბ. სტალინის მისალმებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო აღმოსავლეთ გერმანიასა და ბერლინში, არამედ აგრეთვე გერმანიის დასავლეთ ოლქებში, სადაც მას ხალხი ყველგან დიდი კმაყოფილებითა და გულწრფელი მადლობით შეხვდა.

ამერიკული გაზეთი გერმანულ ენაზე „დი ნოიე ciაიტუნგი“ დღეს ი. ბ. სტალინის მისალმებას უძღვნის მოწინავე სტატიას, რომელშიც ამაოდ ცდილობს დამამცირებელ მისალმების დედაარსი. ასეთივე პოზიცია უკავია დასავლეთ გერმანიის მთელ მემარჯვენე პრესას.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 15 ოქტომბერი. (საკდესი). პრაღის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე დიდრონი სათაურებით გამოაქვეყნა დღეს სრული ტექსტი ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისალმებისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლისადმი.

გაზეთი „ლიდოვე ნოვინი“ ამხანაგ სტალინის მისალმების გამო წერს: „ი. ბ. სტალინის წერილში მკაფიოდ გამოხატულია საბჭოთა კავშირის შორსმჭვრეტელური პოლიტიკა, რომელიც ხალხთა დიდ უფლებათა ურთიერთპატივცემის პოლიტიკაა და რომელიც შედამ მშვიდობის თანმიმდევრულ პოლიტიკას წარმოადგენს. უეჭველია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემდეგ დასკვნას, რომელიც ამხანაგ სტალინს გამოაყავს: „არ შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის არსებობა მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირის არსებობასთან ერთად ამორიცხავს ახალი ომების შესაძლებლობას ევროპაში, ბოლოს უღებს სისხლისღვრას ევროპაში და შეუძლებელს ხდის ევროპის ქვეყნების დაბონებას მსოფლიო იმპერიალისტების მიერ“.

ამ სიტყვებით გამოხატულია საბჭოთა კავშირის პოლიტიკა, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება პოლიტიკას დასავლეთი საზღვაროფოებისა, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით ისწრაფვიან გერმანია გადაქცევინონ პროგრესის ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა, საბალხო დემოკრატიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის ბაზად. ამიტომ გერმანიის პრობლემა მშვიდობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამერიკელი იმპერიალისტები დასავლეთ ევროპის თავიანთ მოკავშირეებთან ერთად მეტად სუსტი არიან, რომ გაბედონ ახალი ომის ხანძრის პროვოკაციულად გამოწვევა. მათ იციან, რომ თუ გერმანია დაკარგეს, ამით დაკარგავენ თავიანთ რეალურ საბრძოლო ბაზას ევროპაში. აი რატომ ასეთი გაბოროტებით სწამებენ ცილს და ესხმიან თავს გერმანიის ახალ დემოკრატიულ მთავრობას.

ახალი ომის გამჩაღებლებმა კარგად იციან, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს მათთვის გერმანიის ახალი მთავრობა. მათ იციან, რომ ეს მთავრობა გერმანელებს უჩვენებს სხვა გზას: არა ეკონომიური დამონების, არა შოვინიზმისა და რევიზიონიზმის პროპაგანდის გაჩაღების გზას და არა ახალი მსოფლიო ომის გზას. ამის აქცენტი ყურადღებას ი. ბ. სტალინის მისალმებაში. როცა ი. ბ. სტალინი ლაპარაკობს იმაზე, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ხალხებს აქვთ წანამძღვრები მოახდინონ მსოფლიო მნიშვნელობის აქციები, ახალი ომის გამჩაღებლებმა კარგად იციან, რომ ამით, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება მშვიდობის შენარჩუნება, ეს კი ფუშავს ომის გამჩაღებლთა ყველა ვარაუდს.

ი. ბ. სტალინმა თავისი სიტყვებით, რომ გერმანელი ხალხის მშვიდობიან მისწრაფებას ძხარს დაუჭერს მსოფლიოს ყველა ხალხი, გამოხატა ფართო მასების ნამდვილი რწმენა. ჩეხოსლოვაკიელი ხალხი, ისე როგორც პოლონელი, ფრანგი და სხვა ხალხები, მიესალმება გერმანიის დემოკრატიული ძალების მისწრაფებას და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მხარი დაუჭიროს ამ ძალებს.

გერმანელი ხალხი მხურვალედ მიესალმება ამხანაგ სტალინის განცხადებას. სტალინი ეუბნება მას, რომ იგი თავის მშვიდობიან ლონისძიებებში მარტო როდი იქნება, რომ თუ იგი დემოკრატიისა და მშვიდობის გზით ივლის, მას წინაშე გადაიშლება ახალი მშვენიერი მომავალი“.

დავით კლდიაშვილის პიესები მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

ქართული კლასიკური მხატვრული პროზის ბრწყინვალე წარმომადგენელმა დავით კლდიაშვილმა ფრიად საყურადღებო, შესანიშნავი მეცადინეობა დაგვიტოვა დრამატურგიაშიც. მისი პიესები „ირინეს ბედნიერება“, „დარისპანის გასაჭირი“ და „უბედურება“ მხატვრულად ასახავენ საქართველოს ცხოვრების იმავე პერიოდს, რომელიც მწერალს ესოდენ ღრმად და დამაჯერებლად, დიდი ოსტატის მძლავრი ყალმით აქვს დახატული თავის მოთხრობებში. ეს არის პერიოდი, როცა ფეოდალური ურთიერთობა გზას უთმობდა კაპიტალიზმს, როცა ამ უკანასკნელმა უკვე დაამკვიდრა თავისი მგლური კანონი და ხალხს ფართო მასები სიღატაკის, უბამსობისა და უფიცობის მსხვერპლად აქცია. კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრებამ დაბლართეულ წინაფეოდალურ ბობა მოაქცია ფეოდალური არისტოკრატია, განსაკუთრებით წვრილფეხა აზნაურები.

ამ ტრაგიკულ ბედს ვერ ასცდა იმერეთის წვრილფეხა, ნივთიერად გაძალტყვებული აზნაურობაც. მატერიალურ გაღატაკებას თან მოჰყვა მათი სულიერი დაკნინება, ადამიანური ღირსების დაცემა, მათი სულიერი სამყაროს გამოფიტვა, დაძაბუნება. მწერალმა ეს მოვლენები საოცარი მკაფიობით და სიმძაფრით ასახა თავის შემოქმედებაში. კერძოდ, მის დრამატიულ ნაწარმოებთა გმირები წარმოადგენენ ადამიანების ცოცხალ გალერეას, სადაც ერთმანეთს სცვლიან, ერთმანეთს ავსებენ და ურთიერთის ბიდს იზიარებენ დარისპანი და ფილიპე, ტუფია და პელაგია, კაროლინა და ნატალია. მწერალი მათი ხვედრი, უღიმღამო ცხოვრების ულმობელ კლანჭებში მოქცეულნი საცოდავად ფართხალებენ ისინი და ხსნის იმედს ვერსად ხედავენ. თითქოს მთელმა ქვეყანამ პირი შეკრა მათ შესამუსრავად, ისე აჩკეთია მათ ხსნის ყოველგვარი იმედი. ცხადია, ეს მარტო პირადულ უბედურებას როდი წარმოადგენდა, ეს არ იყო მხოლოდ ინდივიდუალური ტრაგედია, ასეთი მოვლენა წარმოადგენდა ღრმა სოციალურ-პოლიტიკურ განახლებათა აუცილებელ და ლოგიკურ შედეგს.

დიდი რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი ამბობს: „ხელოვნების თვითეული ნაწარმოები უნდა განიხილოთ ეპოქასთან, ისტორიულ თანამედროვეობასთან დამოკიდებულებაში, და მწერლის ურთიერთობაში საზოგადოებისადმი...“ როგორ დამოკიდებულებაშია დავით კლდიაშვილის პიესები ისტორიულ თანამედროვეობასთან და რა ურთიერთობა აქვს მწერალს დამკარებული საზოგადოების მიმართ? თვითონ აღნიშნული პიესების ავტორი იმ საზოგადოების პირმშოა, მისი ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მწერალმა შესძლო დამდგარიყო მაშინდელ საზოგადოებრივ ინტერესებსა და სულიერ რაობაზე უფრო მაღლა. მან შეძლო თავისი კლასის შეზღუდულობისაგან განთავისუფლება და იმ მოწინავე პოზიციებზე დადგომა, საიდანაც ასე გარკვევით სჩანდა მისი გმირების უშინაარსო ცხოვრება, მათი სავალალო მდგომარეობა. მწერალი თავისი მხსნელი თვალით ჯარგად ამჩნევდა თავისი ბარემოს სოციალურ უბადრუკობას, ირგვლივ გამეფებულ უხამსობას და ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს გულგრილი ობიექტივიზმით კი არ ასახავდა, არამედ მთელი გულისტკივილით, მღელვარებითა და მგზნებარებით ავლენდა თავის დამოკიდებულებას ადამიანებისადმი, მათი სიხარულისადმი, ცრემლისა და ვარამისადმი.

ამიტომ, როდესაც ვხედავთ დარისპან ქარსიძეს, ოთხი გასათხოვარი ქალის პატრონს, თავმოძულებული რომ დადის კარდაკარ—იქნებ როგორმე გასაღოს, მიაგდოს სადმე, ხელმი შეაჩეჩოს ვისმეს თავისი ღვიძლი შვილი, თავისი ხორცისა და სულის ნაწილი. აქ განა შეიძლება რაიმე სასაცილო დაინახოს ადამიანმა? პირიქით, ეს არის უკიდურესობამდე მიღწეული ტრაგედია ადამიანის სულისა, ეს არის მწერლის დამოკიდებულების მკაფიო გამოხატულება თავისი გმირისადმი, ამ გმირის უსიხარულო და უფერული ცხოვრებისადმი, რომელსაც ადამიანი, ბუნების ქმნილებათა ეს გვირგვინი, დაკნინებული, ყოველდღიურობის სადღაც ბნელ კუნჭულში მიუგდია და გასრესას უქადის.

სცადეთ წარმოიდგინოთ ერთის წუთით დარისპანი, გამოთიშული მისი გარემოს სულისშემხუთველი ვითარებისაგან, და თქვენს წინაშე წარმოსდგება ადამიანი, რომელსაც სადღაც ჯურღმულში, მაგრამ მაინც შერჩენია კეთილშობილების გრძნობა, თავმოყვარეობისა და ადამიანისადმი პატივისცემის მშვენიერი გრძნობაც. ეს ნათელი შტრიხები მისი ხასიათის უბრალო ტრაბახად, იაფფასიანი ყოყოჩობის, ადამიანის ღირსების დამამცირებელი სიცრუის წყაროდ არის გადაქცეული და ამ წყაროს საფუძველი ეს უდევს, სადაც დარისპანისათვის ბნელეთია და ბურუსით მოცული ცხოვრების სამსჯავრო დამკვიდრებულა.

— ბედი უნდა, ყველაფერს ბედი უნდა, ჩემო დარისპან,—ეუბნება მას მრთა ქვეტრიბეძისა და დარისპანიც მოუთმენლად ელის, თუ როდის გაუღიმებს მასაც ბედი, როდის აღირსებს, რომ ქალიშვილები დაათხოვოს, თავიდან მოიშოროს როგორმე და „პატრონს ჩააბაროს“.

ეს ბრიხი გავლენილია დ. კლდიაშვილის სხვა დრამატიულ ნაწარმოებებშიც. ისე დაუძაბუნებია ცხოვრებასთან ჭიდელს პიესა „უბედურება“ გმირი ილია, რომ იგი ექიმშაშ მიასთან დადის გულის ტკივილის დასაამებლად და ნუგეშს მასთან საუბარში ეძიებს.

— შევწუხდი, ვეღარ გავძელი სახლში... — ამბობს იგი,—ვიფიქრე, რაც რომ გამიჭირდეს, ეზოს გადალმა გადავალ მეთქი... ეგეც ჩემს ეზოს გადალმა არც ისე უხალისო და შეწუხებული მეჩვენოს ყველაფერი... ეგებ გული გამიხსნას ხალხის დანახვამ... ამან ამოგვიანა ხელში ეს ყავარჯნები, გამომარონია ამსელა გზა და მომიყვანა ჩემს მკურნალთან.

ექიმშაში მიია კი მას ურჩევს—მოთმინება და ომედი იქონიოს, შეიძლება რიმე ხსნა და სამშველი მათაც გაუჩნდეს. რა მწარე ირონიად ისმის ეს სიტყვები უვიცი სოფლელი დედაკაცისა ქალაქში ნამყოფ, ერთგვარად გათვითცნობიერებული ილიას მიმართ, იმ კაცის მიმართ, რომელიც უკეთეს ცხოვრებას ეძებდა, რომელსაც ერთ დროს ცხოვრების პირობებმა გაუმჯობესებისათვის მებრძოლთა რიგებშიც კი ჰქონდა ადგილი.

„ირინეს ბედნიერება“ მწარე სინამდვილიდან აღებული მხატვრული სურათია. იგი ასახავს სულიერ ტრაგედიას იმ ქალისას, რომელსაც გულის სატრფოდ თავისი შესაფერისი ადამიანი შეურჩევია, მაგრამ ეს სხვაზე ათხოვებს. ეს სხვა ვინმე არის აბესალომ სალამთაძე, დიდგვაროვანი, შეძლებული ოჯახის შვილი. ირინეს მამა ფილიპე ბარბაქაძე დიდ ბედნიერებად სთვლის, რომ აბესალომმა ყურადღება მიაქცია მის ქალს და მასზე დაქორწინება ისურვა. ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილი, ცხოვრებისათვის ზედმეტი ადამიანი, თავზე ხელაღებული, გაწუწყვეტლივ მოქეიფე და ფუქსავატი აბესალომი მალე აღიარებს გულს ირინეზე. გამართლდა ირინეს წინაგრძნობა. ერთმანეთს ვერ შეეგუენ სულიერად უცხო ადამიანები. ბედნიერებით დაწყებული ამბავი ოჯახური ტრაგედიით მთავრდება. გულმოკლული ირინე ქვითინით ამბობს:

— ნეტავი მართლა მოვეკალი... მაინც ამით არ გათავდება?.. ეი, ჩემი ბედნიერება, მამა!.. ხომ ხედავ?.. ხომ ბედნიერი ვარ!.. ხომ ბედნიერი ვარ ჩემო მამა, ეჰ!

პიესა „უბედურება“ საგლეხო რეფორმის შემდგომი პერიოდის სოფლის უმწეო მდგომარეობას, საშინელ უმეცრებას და გაპარტახებას აგვიწერს. ეს სოციალური ხასიათის დრამა მკაცრი რეალისტური ხერხებით გადმოგვცემს რევოლუციამდელი საქართველოს სოფლის ერთ-ერთ უსახურსულ და განაწამებ ცხოვრების მართალ სურათებს.

დავით კლდიაშვილის დრამატიულ ნაწარმოებთა გმირების ხასიათი მკვეთრად არის ჩამოყალიბებული, მისი პიესები მდიდარია ცოცხალი დიალოგებით და მომქმედების დინამიურობით.

დავით კლდიაშვილის პიესების დადგმას ქართულ სცენაზე გარკვეული ისტორია აქვს. თვით ავტორი ასე მოგვითხრობს თავის მოგონებებში ამის შესახებ: „პირველად თბილისში დაიდგა „ირინეს ბედნიერება“. პიესა რომ იტყვიან — ჩაფლავდა. გათავდა წარმოდგენა ულაზათოდ, უმნოდ. ფუუხვარ.

— დათიკო, ნუ შეწუხდები! მითხრა წარმოდგენაზე მყოფმა, ქუთაისიდან ჩამოსულმა ლადო მესხიშვილმა, შეწუხებული რომ დამინახა.. —მე ვიჩივლებ როგორ უნდა ითამაშებოდეს მაგ პიესა... არ გაუვლია თვეს, ლადისაგან დეპეშა მოვიღე—პიესა მიდის და ამოდიო. გავეშურე ქუთაისისაკენ გულაძგერებული...“ შემდეგ ავტორი ჰყვება იმ სიხარულს, რაც მან დილით რეპეტიციის დროს განიცადა. საღამოს კი წარმოდგენა პირდაპირ ტრიუმფად ქცეულა.

ქართული სცენის შესანიშნავ ოსტატს კოტე მარჯანიშვილსაც ჰქონდა გათვალისწინებული დ. კლდიაშვილის პიესების დადგმა. მაგრამ ეს ჯერ ისახა დიდმა რეჟისორმა სისრულეში ვერ მოიყვანა. სხვა მიზეზებს შორის ერთ-ერთი მთავარ მიზეზს ისიც წარმოადგენდა, რომ კ. მარჯანიშვილს სრულიად ახალი, მანამდე უჩვეული თვალსაზრისით სურდა ამ დადგმის განხორციელება. ამიტომ მას ეეჭვებოდა, რომ მის მიერ მოელენებისა და ხასიათების ანლეგორად გადაწყვეტა შეუცნობელი დარჩებოდა მაყურებლისათვის. ამ გამბედავ შემოქმედებაც კი მძიმე გადასაწყვეტად მიაჩნდა ეს ამოცანა და იგი თითქო შეერთოო ასეთი სიძნელის წინაშე, მოერიდა თავისი სურვილის განხორციელებას.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დავით კლდიაშვილის პიესების დ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესია

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი. (საკადესი). გუშინ სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში დამთავრდა საერთო დისკუსია ეგრეთწოდებულ საკითხზე ბულგარეთში, უნგრეთსა და რუმინეთში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევის შესახებ.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა რეაქციული წრეების, რომლებმაც ეს ცილისმწამებლური კამპანია დაიწყეს სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ, ამედი ჰქონდათ დისკუსია ამ საკითხზე გადაექცეათ ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის სახალხო-დემოკრატიული რეჟიმების გასამართლებად.

მაგრამ ამ ინსაცენრების ინგლისელი და ამერიკელი ავტორები ანგარიშში მოტყუვდნენ. გენერალური ასამბლეისათვის თავსმოხვეული დისკუსია გადაიქცა იმათ გამოააშკარავებად, ვინც არ თაკილობს არავითარ საშუალებას — ტერორს, დივერსიებს, შეთქმულებას, — და ცდილობს მიაღწიოს ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის დემოკრატიული გზით შექმნილ მთავრობათა დამხობას.

კომიტეტის 11 ოქტომბრის სხდომაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის გამოსვლამ ცხადყო წარმოებული ინსაცენირების ნამდვილი სარჩული და მზის სინათლეზე გამოიყვანა მხსი ნამდვილი ავტორები—ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები, — რომლებიც შეუპოვრად ცდილობდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჩაეთრიათ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი მტრულ კამპანიაში და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გამოეყენებინათ სხვა ქვეყნებზე ზეგავლენის თავიანთი პოლიტიკის, მათს სანინაო საქმეებში ჩარევის პოლიტიკის იარაღად.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა კისელიოვმა კვლავ ამხილა ინგლის-ამერიკის ბლოკის მანევრები.

რუმინეთის, უნგრეთისა და ბულგარეთისათვის წაყენებულ ბრალდებათა ფარისეულურობა და ტენდენციურობა, — განაცხადა კისელიოვმა, — მით უფრო ცხადია, რომ იმ ქვეყნებში, რომელთა წარმომადგენლებიც ტახენ და ჩაიღებენ ამ ხმაურს, არღვევენ ადამიანის ელემენტარულ უფლებებს, აპატიმრებენ და დევნიან ადამიანებს მათი დემოკრატიული რწმენისათვის, ზანგებისა და ფერადკანიანი ხალხების მიმართ იყენებენ დისკრიმინაციული ხასიათის კანონებსა და დადგენილებებს.

მაგალითად, რა უფლება ჰქონდა საბერძნეთის წარმომადგენელს, — აცხადებს კისელიოვი, — ელაპარაკა ადამიანის უფლებათა დაცვაზე, როცა საბერძნეთის მონარქისტულ-ფაშისტური მთავრობა ყოველ დღე სიკვდილით სჯის იმ ადამიანებს, რომელთაც დემოკრატიული შეხედულება აქვთ თავისი ქვეყნის სახელმწიფო წყობილებაზე. მხოლოდ სამი თვის შემდგომი წლის განმავლობაში, — თქვა კისელიოვმა, — საბერძნეთში სიკვდილით დასაჯეს ადამიანის თავისუფლებისა და უფლებებისათვის მებრძოლი 10.000 კაცი. ასეთი აღვირახსნილი ტერორი საბერძნეთის ჰიტლერული ოკუპაციის უაღრესად შავბნელ წლებშიც კი არ უნახავს.

შეჩერდა რა ლიბანის დელეგატის ცდაზე — სახელი გაეტეხნა რუმინეთის, უნგრეთისა და ბულგარეთისათვის, რაფა არ დაეშვა ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად, — და ჩრაზილიის დელეგატის განცხადებაზე, რომ რაკი რუმინეთში, ბულგარეთსა და უნგრეთში თითქოს „დაარღვიეს ადამიანის უფლებანი“, ახლა დრო არ არის ეს ქვეყნები მიღებულ იქნან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრადო, კისელიოვმა აღნიშნა, რომ ამით ამ დელეგატებმა გამოამჟღავნეს ამ საკითხის დასმის ინიციატორთა კიდევ ერთი ფარული აზრი.

— ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის, — განაცხადა მან, — რა დროებაზე ოცნებობს ბრაზილიის დელეგატი. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა უნგრეთში ჯაშუშ ლასლო რაიკის პროცესის შემდეგ, რომელზეც ერთ-ერთმა მოსამართლემ — ჯაშუშმა სენიმ —თავის ჩვენებაში განაცხადა, რომ „შეიარაღებული გადატრიალების განხორციელების შემდეგ უნგრეთი მიიღებდა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ და ფინანსურ დახმარებას და მას მიიღებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რიგებში“.

ბელორუსიის სსრ დელეგატი აგრეთვე შეჩერდა ჰოლანდიის დელეგატის გამოსვლაზე და აღნიშნა, რომ იმ დროს, როცა ჰოლანდიის წარმომადგენელი ლაპარაკობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევაზე ბულგარეთში, უნგრეთსა და რუმინეთში, ჰოლანდიის მთავრობა ხუთი წლის განმავლობაში მომსპობ კოლონიურ ომს ეწევა ინდონეზიელი ხალხის წინააღმდეგ.

ბელორუსიის სსრ დელეგაციას მიაჩნია, — განაცხადა კისელიოვმა, — რომ ადამიანის უფლებებისათვის, ძირითადი თავისუფლებებისა და რელიგიისათვის ამ „ბრძოლისა“, მთელი ამ „სულიერი“ საბუთების უკან იმალება საკმაოდ მიწიერი მოტივები. ყოველივე ამის უკან იმალება მტრობა იმ სახალხო-დემოკრატიული რეჟიმისადმი, რომელიც დამყარებულია უნგრეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში. ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების მმართველი წრეები ვერ შერიგებიან იმ გარემოებას, რომ ეს ქვეყნები დაადგნენ დემოკრატიული განვითარების გზას და მოქმედებენ არა უოლ-სტრიტისა და ლონდონის სიტის კარნახით, არამედ საკუთარი შეხედულებით თავისი ხალხების ნების შესაბამისად. ისინი ცდილობენ მიჩქმალონ კვალი, რომელსაც ლონდონსა და ვაშინგტონს მიეყვანართ. ბელორუსიის სსრ დელეგაცია იმის წინააღმდეგია, რომ ეს საკითხი დარჩეს გენერალური ასამბლეის სესიის დღის წესრიგში. იგი აგრეთვე იმის წინააღმდეგია, რომ ეს საკითხი გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს, რათა მიღებულ იქნას კონსულტაციური დასკვნა, და ამ მიზეზით გამო ხმას მისცემს რეზოლუციის ამერიკის პროექტის წინააღმდეგ.

რეზოლუციის ამერიკის პროექტის წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე პოლონეთის წარმომადგენელი ფიროგოვსკი. მან მოიყვანა მრავალი ფაქტი რასობრივი დისკრიმინაციისა იმ ქვეყნებში, რომლებიც ახლა ცდილობენ გამოვიდნენ ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის ბრალდებელთა როლში, და აღნიშნა, რომ ამ ბრალდებლებს არავითარი მორალური უფლება არა აქვთ მოსამართლეთა პოზა მიიღონ. „პიკასოში მომხდარი ფაშისტური დარბევის მსგავსი ამბები, — განაცხადა პოლონეთის წარმომადგენელმა, — შეუძლებელია იმ ქვეყნებში, რომელთათვისაც ბრალის დადებას ცდილობენ ახლა აქ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები. ამ ქვეყნების ხალხები სარგებლობენ სრული დემოკრატიული უფლებებით“.

პოლონეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვა თხოვნით — მოგვაცეს კონსულტაციური დასკვნა იმ დავის მოწესრიგების საშუალებათა შესახებ, რომელიც საზავო ხელშეკრულებათა შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებით წარმოიშვება, ეწინააღმდეგება ყველა იურიდიულ ნორმას. საერთაშორისო სასამართლოს უფლება არა აქვს განმარტოს საზავო ხელშეკრულებანი, ეს უფლება ეკუთვნით მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებებს.

ინგლისის წარმომადგენელმა შოუკროსმა, რომელმაც ჯერ კიდევ კომიტეტის 11 ოქტომბრის სხდომაზე განაცხადა, პასუხს გავცემ ა. ი. ვიშინსკისო, თავის სიტყვაში ვერც ერთი არგუმენტი ვერ დაუპირისპირა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის მიერ მოყვანილ მრავალ ფაქტს და დამაჯერებელ მოსაზრებას. დაწყო რა ლიტონი განცხადებით, რომ იგი ერთგულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და თქვა რა, რომ „ადრე თუ გვიან ჩვენ (ე. ი. ინგლისსა და საბჭოთა კავშირს) მოგვიხდება ერთად ვიაროთ შშვიდობიანადო“, შოუკროსი ამტკიცებდა, რომ ინგლისი იძულებული გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ცილი დაეწამებინა ბულგარეთისათვის, უნგრეთისა და რუმინეთისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ მას „სხვა გზა არა ჰქონდა“.

ინგლისის დელეგატმა მიმართა უხეშ ცდას უკან წაეღო თავისი განცხადება, თითქოს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მხოლოდ იმ ბრალდებულებს აძლევენ სამართალში, რომლებიც წინასწარ აღიარებენ თავის დანაშაულს. მაგრამ შოუკროსის ეს ცდა აშკარად ჩაიფუშა, რამდენადაც ამ მის განცხადებას შეიცავს ტექსტი სიტყვისა, რომელიც თავის დროზე პრესის წარმომადგენლებში გავრცელდა.

რაკი შოუკროსმა დაინახა რომ მისი ცდა იფუშება, აშკარად ვეღარ შეინარჩუნა ზომიერი კილო და კვლავ შეუდგა ჭორების საბჭოთა ხალხისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა გამეცლებისა და მოღალატეების გასამართლების შესახებ. იგი ცდილობდა განსახილველი საკითხისათვის მოეტმასნა ტროცკისტებ-ბუხარინელი მახინჯების საქმე და გამეორა თავისი მონაჩმახი, რომ სასამართლოს წევრებად, მაგალითად, უნგრეთში შეიძლება იყვნენ მხოლოდ კომუნისტური პარტიის წევრებნი.

ინგლისის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ მოითხოვა, რომ ორატორთა სიაში შეეყვანათ. მაგრამ თავმჯდომარემ ენტეზამმა (ირანი) არავითარი პასუხი არ გასცა სსრ კავშირის წარმომადგენელის მოთხოვნაზე და ცდილობდა სხდომა დაეხურა. კანადისა და ჩილის წარმომადგენლები ცდილობდნენ წინასწარ შეეზღუდათ სსრ კავშირის წარმომადგენელი და ამტკიცებდნენ, რომ მან უნდა უპასუხოს მხოლოდ ინგლისის წარმომადგენლის მტკიცებასო.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ენერგიული პროტესტის შედეგად თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია შეტანილია კომიტეტის ორატორთა სიაში.

სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის საღამოს სხდომა დაიწყო ჩილის წარმომადგენლის გამოსვლით, რომელმაც გაიმეორა ბოგესეთილი, სტანდარტული ცილისმწამებლური განცხადებანი რუმინეთის, უნგრეთისა და ბულგარეთის მიმართ.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ორდონომ თავის სიტყვაში არსებითად აღიარა, რომ გენერალური ასამბლეა უძლურია გადაჭრას მის წინაშე დასმული საკითხი. საფრანგეთის წარმომადგენელმა გაილაშქრა რეზოლუციის ამერიკის პროექტის იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც გენერალურ ასამბლეას ურჩევს მიმართოს თხოვნით საერთაშორისო სასამართლოს — მისცეს დასკვნა საზავო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ატეხილი დავის გადასაჭრელად კომისიის შექმნის კანონიერების შესახებ იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუმინეთი, ბულგარეთი და უნგრეთი უარს იტყვიან ამ კომისიაში თავიანთი წარმომადგენლების დანიშვნაზე.

არგენტინის წარმომადგენელმაც ეჭვი შეიტანა გენერალური ასამბლეის რწმუნებაში განიხილოს ეს საკითხი, და ამასთან სამართლიანად აღნიშნა, ამ საკითხზე გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პრაქტიკულ შედეგს არ მოიტანსო. მაგრამ ამან მაინც არ შეუშალა მას ხელი განეცხადებინა, რომ მხარს უჭერს რეზოლუციას ამერიკულ პროექტს.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ თავის სიტყვაში ცხადყო იმ ინგლისელ-ამერიკელ „კრიტიკოსთა“ სრული უსუფსურობა, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ ეპასუხნათ საბჭოთა დელეგაციის მიერ იმ ცილისმწამებლური კამპანიის ბნელი მიზნების გამოაშკარავებაზე, რაც სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა დაიწყეს.

ამერიკის წარმომადგენელი კოენი დელეგატებს არწმუნებდა, რომ საერთაშორისო სასამართლოს დასკვნისათვის ამ საკითხის გადაცემა თითქოს არავითარ ზიანს არ მოიტანს. სურდა რა დაეჯერებინა დელეგატები დათანხმებულიყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების ამ უკანონო და საზავო ხელშეკრულებათა დამრღვევ წინადადებაზე, კოენი ცილს სწამებდა საბჭოთა კავშირს და ამეორებდა ჰერსტის ჭორებს სსრ კავშირის „იმპერიალიზმის“ შესახებ.

იმ მრავალი ფაქტის სანასუხოდ, რომლებიც კომიტეტში მოიყვანეს მხეცური რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ, რასაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ იყენებენ, კოენმა უკეთესი ვერა მოიგონა რა, რომ დაემოწმებინა ტრუმენის ყბადაღებული „სამოქალაქო უფლებათა პროგრამა“, თუმცა ყველამ იცის, რომ ეს პროგრამა წარმოადგენს ფარატინა ქაღალდს, რომელიც უკვე დიდი ხანია დასამარეს ამერიკის კონგრესის არქივში.

დისკუსიის დასასრულს გამოსულმა უკრაინის დელეგაციის წარმომადგენელმა დ. ზ. მანუილსკიმ აღნიშნა, რომ თავიანთ სიტყვებში ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მიმართ ინგლის-ამერიკის ჭორების მომხრეებს არაფერი არ მოუყვანიათ, გარდა ლიტონი მტკიცებისა. ავსტრალიის წარმომადგენელი მეიკინი, რომელმაც განაცხადა, რომ კომისიას წარუდგენდა რუმინეთის მართლმსაჯულების წინააღმდეგ მისი ცილისმწამებლური გამოხდომის დამამტკიცებელ საბუთს, დღემდე დუმს. ეს დუმილი იმით აიხსნება, რომ მას არ შეუძლია თავისი განცხადება რაიმე დოკუმენტით დაამტკიცოს.

დისკუსია, — განაგრძო მანუილსკიმ, — დამთავრდა ბრალმდებელთა სრული მარცხით, ვინაიდან სიმართლე ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკების მხარეზეა. ფაქტებისა და დოკუმენტების წინაშე ბრალდების ინსაცენირება ამ ქვეყნების მიმართ სამარცხვინოდ ჩაიფუშა.

სსრ კავშირის მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითს მთავრობას შორის დიპლომატიური მისიების გაცვლის გამო

ბერლინი, 16 ოქტომბერი. (საკადესი). ბერლინის საბჭოთა სექტორის ყვირის გაზეთებმა პირველ გვერდზე მსხვილი შრიფტით დაბეჭდეს საკადესის ცნობა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ — დიპლომატიური მისია გაცვალოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითს მთავრობასთან. ამავე დროს გაზეთები ათავსებენ ადნ-ის სააგენტოს შემდეგ ცნობას:

„საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის კანცელარიიდან იუწყებიან:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს საბჭოთა მთავრობის უმაღლესმა წარმომადგენელმა არმიის გენერალმა ჩუიკოვმა გადასცა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება დიპლომატიური მისიების გაცვლის შესახებ. პრეზიდენტმა დიდი კმაყოფილებით მიიღო ეს გადაწყვეტილება და არმიის გენერალ ჩუიკოვს სთხოვა გულითადი მადლობა გადასცეს საბჭოთა მთავრობას.

პრეზიდენტი ცნობს საბჭოთა მთავრობის მიერ დანიშნულ დიპლომატიურ მისიას ბ-ნ გ. მ. პუშკინის მეთაურობით და წინადადებას აძლევს დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრს დაუყოვნებლივ დანიშნოს დიპლომატიური მისია სსრ კავშირის მთავრობასთან“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარეს მაო ძე-დუნს რწმუნებების სიგელები გადასცა საბჭოთა კავშირის ელჩმა ნ. ვ. როშჩინმა

პეკინი, 16 ოქტომბერი. (საკადესი). 16 ოქტომბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა მიიღო სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ნ. ვ. როშჩინი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი, ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს გენერალური მდივანი ლინ ბო-ძიუი, გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი გენერალი ნე თუნ-ენი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმეთა მმართველი ვან პან-იანი, საოქმო განყოფილების უფროსი იან ზო-ხანი.

რწმუნების სიგელების ჩაბარების შემდეგ მაო ძე-დუნსა და ელჩ როშჩინს შორის გამართა საუბარი.

საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია შანხაიში

შანხაი, 16 ოქტომბერი. (საკადესი). გუშინ შანხაიში შედგა ხალხმრავალი კრება, რომელიც ქალაქის ყველა ფენის წარმომადგენლებმა მოაწყეს საბჭოთა კულტურის ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეთა დელეგაციის პატივსაცემად. ქალაქის ყველაზე დიდ კინოთეატრში შეკრებილი 2 ათასზე მეტი კაცი მხურვალედ მიეესალმა საბჭოთა დელეგაციას. დარბაზში დელეგაციის გამოჩენამ გამოიწვია მქუხარე ხანგრძლივი ტაში და „ვაშას“ შეძახილები ამხანაგ ი. ბ. სტალინისა და მაო ძე-დუნის პატივსაცემად.

პრეზიდიუმში არიან საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენლები ა. ფადეევისა და კ. სიმონოვის მეთაურობით, მეცნიერული კონსული ამხ. ვლადიმიროვი, ქალაქ შანხაის მერის მოადგილე პან ხან-ნიანი, ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს წევრი ეაო შუ-ში, შანხაის გარნიზონის უფროსი გო ხუა-ეაო და სხვები.

სიტყვა წარმოთქვა ეაო შუ-შიმ. შანხაელი მუშების, ახლომახლო სოფლების გლეხების, სახალხო განმათავისუფლებელი არმიის, მოსწავლე ახალგაზრდობის, ქალთა ორგანიზაციების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების, მეცნიერი მუშაკების და სამრეწველო წრეების წარმომადგენელთა სახელით ეაო შუ-ში მიესალმა საბჭოთა დელეგაციას.

ჩინეთში საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლა, თქვა მან, უსაზღვროდ აღგვაფრთოვანებს და დიდი პატივია ჩვენთვის. იგი გვიძლიერებს რწმენასა და გამბედაობას, რომ მრავალფეროვანი მუშაობა გავწიოთ ახალი შანხაის მშენებლობისათვის მას შემდეგ, რაც მტერი დავამარცხეთ და თავისუფლება მოვიპოვეთ.

საბჭოთა კავშირი, თქვა ეაო შუ-შიმ, არა მარტო ჩვენი უახლესი მეგობარი, არამედ სამედო მასწავლებელიც არის. ჩვენ საბჭოთა კავშირისაგან უნდა ვისწავლოთ და მხოლოდ მაშინ, თუ მისგან ვისწავლით, შევძლებთ ჩვენი აგარარული ქვეყანა ინდუსტრიულ ქვეყნად გადავაქციოთ, ჩამორჩენილი ჩინეთი ძოწინავე ჩინეთად გადავაქციოთ. ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიდი ხალხების მეგობრულ თანამშრომლობას არა მარტო განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ჩინეთის მშენებლობისათვის, არამედ გადამწყვეტ როლსაც შეასრულებს მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეში.

კიანისსთა შოპენის სახელობის მეოთხე საერთაშორისო კონკურსის შედეგები

საბჭოთა პიანისტების დიდი წარმატება

ვარშავა, 16 ოქტომბერი. (საკადესი). გუშინ ვარშავაში დამთავრდა პიანისტთა შოპენის სახელობის მეოთხე საერთაშორისო კონკურსი. კონკურსის ჟიურიმ შეაჯამა შედეგები. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი პრემია (თითო მილიონი ზლოტი) მიენიჭა ბელა დავიდოვიჩს (სსრ კავშირი) და გალინა სტეფანსკაია-ჩერნის (პოლონეთი); პოლონეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურის საქმეთა კომიტეტის მეორე პრემია (800 ათასი ზლოტი) — ვარვარა ხესე-ბუკოვსკაიას (პოლონეთი).

სპეციალური ჯილდოები მიენიჭათ: პროფესორ ჟურავლიოვს ვერცხლის გვირგვინი — გალინა სტეფანსკაია-ჩერნის (პოლონეთი); ფრედერიკ შოპენის ინსტიტუტის ჯილდო (კომპოზიტორის ვერცხლის medali) — ბელა დავიდოვიჩს (სსრ კავშირი); პოლონელი ახალგაზრდობის კავშირის ჯილდო — კონკურსის მე-3 ტურის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს ევგენი მალინინს (სსრ კავშირი); პოლონეთის რადიოს ჯილდო მაზურულის საუკეთესო შესრულებისათვის — გალინა სტეფანსკაია-ჩერნის (პოლონეთი); პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ჯილდო — კონკურსის საუკეთესო საბჭოთა მონაწილეს ბელა დავიდოვიჩს.

პიანისტთა ფრედერიკ შოპენის სახელობის მეოთხე საერთაშორისო კონკურსის მონაწილე 6 საბჭოთა პიანისტში 5 კაცმა საპრემიო ადგილები დაიკავა.

პირველი პრემია მიიღო ბელა დავიდოვიჩმა, მეოთხე პრემია — გიორგი ფერაველიანმა, მეშვიდე პრემია — ევგენი მალინინმა, მეცხრე პრემია — თამარ გუსეევამ, მეათე — ვიქტორ მერკანოვმა.

პრემიებისა და ჯილდოების გადაცემა შედგება 17 ოქტომბერს გენიალური პოლონელი კომპოზიტორის ფრედერიკ შოპენის გარდაცვალების 100 წლისთავის დღეს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხი

მოგებათა მეორე ტირაჟის ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შედგა 1949 წლის 9 ოქტომბერს ქალაქ მოსკოვში. მოგება ხვდა სესხის ყველა 226 თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
040036	07*)	1.000
040111	10*)	1.000
040421	1—50	200
040443	1—50	200
040479	37*)	1.000
040522	11*)	1.000
040535	1—50	200
040548	28*)	1.000
040664	40*)	1.000
040696	48*)	5.000
040713	31*)	1.000
040779	20*)	1.000
040810	40*)	1.000
040857	1—50	200
041017	12*)	1.000
041023	1—50	200
041028	18*)	1.000
041118	08*)	1.000
041167	1—50	200
041239	21*)	1.000
041433	1—50	500
041464	19*)	1.000
041742	36*)	1.000
041998	16*)	1.000
042111	37*)	1.000
042131	1—50	200
042268	21*)	5.000
042486	1—50	200
042659	1—50	500
043040	33*)	1.000
043061	14*)	1.000
043343	01*)	1.000
043912	29*)	1.000
043927	05*)	5.000
044029	23*)	1.000
044169	18*)	1.000
044276	12*)	1.000
044339	37*)	1.000
044742	40*)	1.000
044841	44*)	1.000
044853	1—50	200
044875	29*)	1.000
044897	21*)	1.000
044974	1—50	500

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
045040	1—50	500
045061	26—50	200
045125	01*)	1.000
045172	40*)	1.000
045429	21*)	1.000
045447	49*)	5.000
045452	1—50	500
045463	1—50	200
045512	1—50	500
045882	31*)	1.000
046077	32*)	1.000
046132	41*)	1.000
046412	1—50	200
046451	1—50	200
046483	35*)	5.000
046528	04*)	1.000
046553	32*)	1.000
046576	1—50	200
046619	1—50	500
046700	43*)	1.000
046944	1—50	500
046967	46*)	10.000
046997	1—50	200
047095	16*)	1.000
047251	42*)	1.000
047258	50*)	1.000
047397	46*)	1.000
047544	1—50	200
047735	37*)	1.000
047884	15*)	1.000
047978	27*)	1.000
048174	1—50	500
048183	1—50	200
048305	36*)	1.000
048509	50*)	1.000
048721	04*)	1.000
048848	24*)	5.000
048932	34*)	1.000
049185	37*)	5.000
049303	37*)	1.000
049549	36*)	1.000
049594	09*)	1.000
049834	01*)	1.000

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
050035	38*)	1.000
050150	06*)	1.000
050226	46*)	1.000
050773	1—50	500
050777	26*)	1.000
050998	22*)	50.000
051078	46*)	5.000
051629	1—50	200
051676	22*)	10.000
051969	1—50	200
052010	14*)	10.000
052119	1—50	200
052216	1—50	500
052333	1—50	500
052440	35*)	1.000
052483	1—50	200
052640	1—50	500
052748	1—50	500
052860	05*)	25.000
053016	12*)	1.000
053172	29*)	1.000
053191	18*)	1.000
053232	25*)	1.000
053403	01*)	1.000
053432	20*)	25.000
053529	37*)	1.000
053880	23*)	1.000
053893	46*)	1.000
054016	1—50	200
054078	10*)	1.000
054214	47*)	1.000
054254	1—50	200
054282	16*)	1.000
054403	05*)	1.000
054421	25*)	5.000
054471	15*)	1.000
054536	1—50	500
054604	18*)	1.000
054638	18*)	1.000
054720	41*)	1.000
054801	30*)	1.000
054975	1—50	500
055085	39*)	10.000

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
055202	05*)	1.000
055417	46*)	1.000
055580	1—50	200
055590	28*)	10.000
055674	11*)	1.000
055724	38*)	1.000
055864	17*)	1.000
055995	10*)	1.000
056009	16*)	1.000
056062	1—50	200
056139	1—50	200
056166	01*)	1.000
056183	40*)	1.000
056202	1—50	200
056439	26*)	1.000
056455	15*)	1.000
056667	1—50	200
056763	40*)	1.000
057135	31*)	1.000
057374	09*)	1.000
057384	1—50	500
057561	1—50	200
057709	09*)	1.000
057863	09*)	1.000
057894	46*)	1.000
057961	24*)	1.000
057972	1—50	200
058195	1—50	500
058232	14*)	5.000
058418	17*)	1.000
058604	1—50	200
058614	43*)	1.000
058651	1—50	200
058758	1—50	200
059024	1—50	500
059061	13*)	1.000
059176	21*)	1.000
059216	1—50	500
059256	1—50	200
059285	07*)	1.000
059356	16*)	1.000
059522	1—50	500
059769	47*)	1.000

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციას ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე ს. კ. ზუბაკოვი.
სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ა. ვასილიევა

ბურთულიანი ავტოკალმისტარი

საქკოოპინკავშირის არტელმა „პოლიგრაფმა“ აითვისა ახალი ბურთულიანი ავტოკალმისტრის წარმოება. ავტოკალმისტრის კალამი შეცვლილია მუდმივად მოქმედი ბურთულით, მელანი კი სპეციალური პასტით.

ბურთულიანი ავტოკალმისტარი დაუმუტტავად დაწერს 90 გვერდამდე ქაღალდს. წერის დროს ნაწერი ქაღალდი არ მოითხოვს გაშრობას და გადამღების საშუალებით პირს იღებს ყოველნაირ ქაღალდზე.

კ. ხეთაგუროვის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო

სამშაბათს, 18 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ. 13) შედგება გამოჩენილი ოსი მწერლის კოსტა ხეთაგუროვის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის ამხ. ს. ჩიქოვანი.

მოხსენებას კოსტა ხეთაგუროვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთებს ამხ. ვ. გორგაძე.

კ. ხეთაგუროვის ლექსების თარგმანებს წაიკითხავენ: დ. გიჩიტაძე, ი. გრიშაშვილი, ს. თავაძე, მაყვალა მრეკლოშვილი, გ. ცეცხლაძე, ს. ფაშალიშვილი, ს. შანშიაშვილი.

მესხეთის სახელმწიფო თეატრის გასტროლები

სამტრედია. (საკ. კორ.). 5 ოქტომბრიდან სამტრედიაში საგასტროლოდ ჩამოვიდა მესხეთის სახელმწიფო თეატრი (თეატრის სპეტაკცრო ხელმძღვანელი მ. მეძმარიაშვილი), რომელმაც მაყურებლებს უჩვენა ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“